ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

30
ოქტომბერი,
ხუთშაბათი,
2014 წ., №13

ნომერში

■ რა გეგმები აქვს ახალი ფაკულტეტის ახალ დეკანის მოვალეობის შემსრულებელს

გვ. 2

■ თსუ-ს ახალი აკადემიური საბჭო ჰყავს

გვ. 3

■ მაღლივის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დროებით შეჩერდა

გვ. 5

■ კონკურსების გზით უნივერსიტეტში დაბრუნებულ 22 პროფესორს შორის ირაკლი კობახიძეცაა

გვ. 7

თსუ-ს ყოფილ თანამშრომელთა ფინანსური დახმარების ინიციატივას საპარლამენტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა თსუ-ის რექტორის ლადო პაპავას საკანონმდებლო ინიციატივას უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. უნივერსიტეტი პარლამენტისგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანას ელოდება.

მე-2 გვერდზე

სამართლიანობის აღდგენის ტენდენციები თსუ-ში

2013-1014 წლებში უნივერსიტეტს 24 პროფესორი დაუბრუნდა

საზოგადოებას ფაქტები სჭირდება, რათა შემდეგ თავად გააანალიზოს – რამდენად არის დაწყებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი საუნივერსიტეტო სივრცეში. ქართულ პრესაში ზოგჯერ ღვარძლიანი სტატიების გამოქვეყნებას იმის თაობაზე, რომ ახალი რექტორის ლადო პაპავას უნივერსიტეტში მოსვლამ თითქოსდა ვერ უზრუნველყო უნივერსიტეტიდან წლების წინ განდევნილი პროფესურის აღდგენა თანამდებობაზე ან დაბრუნება, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — გაგრძელდეს ამჯერად უკვე უნივერსიტეტის ახალი რექტორის იმიჯის შერყევა. მსგავს ბრალდებებს თავად ლადო პაპავა არაერთხელ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მას კანონის დარღვევის არც უფლება და არც სურვილი არ გააჩნია. კანონი კი იმ შემთხვევაში დაირღვევა, თუკი რექტორი ვადამდე ადრე შეუწყვეტს კონტრაქტებს იმ პროფესორებს, რომლებიც კონკურსის წესით არჩეულნი არიან. ასეთ ვითარებაში გამოსავალი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ახალი კონკურსების გამოცხადებაა, რაც ეტაპობრივად ცხადდება კიდეც. სწორედ ამ კონკურსების გზით დაბრუნდა უნივერსიტეტში 24 პროფესორი, რომელთაც უნივერსიტეტის დატოვება რამდენიმე ხნის წინ მოუხდათ. ჩვენ გთავაზობთ იმ პროფესორთა სიას, რომლებიც უნივერსიტეტში 2012 წლის შემდეგ კონკურსის გზით დაბრუნდნენ.

ფაქტებით ამეტყველებული სიმართლე გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ

მე-3 გვერდზე

თსუ-ის ყოფილ თანამშრომელთა ფინანსური დახმარების ინიციატივას საპარლამენტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა

რამდენიმე ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს მიმართა წინადადებით — შევიდეს ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიეცემათ უფლება — ყოფილ თანამშრომლებს არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან ფინანსური დახმარება გაუწიონ. კომიტეტმა წინადადება ორჯერ განიხილა და მოიწონა. 2014 წლის 21 ოქტომბერს კი პირველი მოსმენით განიხილა საკითხი — „ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მაია ტორაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ივანე კიღურაძე, რომელმაც საკითხის არსი გააცნო კომიტეტის წევრებს და განაცხადა, რომ თუ „უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში ეს ცვლილება შევა, ეს იქნება ზნეობრივი კომპენსაცია იმ ადამიანებისთვის, ვინც უმაღლესი განათლების რეფორმის საწყის ეტაპზე სახელმწიფო უნივერსიტეტების გარეთ დარჩა. „ცნობილია, თუ რა დიდი ტრაგედია გადაიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. 2006 წელს დანგრევის პირას მიიყვანეს ეს უმაღლესი სასწავლებელი, დაითხოვეს პერსონალი და ბევრი პროფესიონალი და ღირსეული ადამიანი სრულიად დაუმსახურებლად უნივერსიტეტიდან გაძევებული აღმოჩნდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წამოაყენა ასეთი საკანონმდებლო წინადადება, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს მიეცეთ უფლება — სათანადო ფინანსური დახმარება გაუწიონ იმ პირებს, რომლებსაც წლების განმავლობაში ეკავათ აკადემიური ან სხვა თანამდებობა უნივერსიტეტში და განსაკუთრებული დამსახურება აქვთ უმაღლესი სასწავლებლის წინაშე. ეს არის უფლება და არა მოვალეობა. ეს საკანონმდებლო ცვლილება გზას გაუხსნის უმაღლეს სასწავლებლებს, რომ თუ მათ მოეპოვებათ სათანადო სახსრები, ასეთ ადამიანებს დახმარება აღმოუჩინონ“, — განაცხადა ივანე კიღურაძემ.

საკითხის წარდგენისას თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ აღნიშნა, რომ, თუ კომიტეტი მხარს დაუჭერს ამ წინადადებას და კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისი ცვლილება შევა, უნივერსიტეტი არასაბიუჯეტო შემოსავლების ნაწილს ყოფილი თანამშრომლების ფინანსურ დახმარებას მოახმარს. „ჩემი

რექტორობის ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომლებს არაერთხელ მოუმართავთ ჩემთვის დახმარებისათვის და ბევრჯერ აღმოვჩენილვართ უხერხულ მდგომარეობაში, რადგან კანონით ამ დახმარების გაცემის უფლება არ გვქონდა. ვფიქრობთ, არასაბიუჯეტო შემოსავლის ნაწილის გამოყენება ამ მიზნით, კანონში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება.

ჩვენი ჩანაფიქრია, რომ ეს პროცესი გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციოთ და შევქმნათ ნორმატიული აქტი, რომლითაც განისაზღვრება — ვის შეიძლება მიეცეს დახმარება გარკვეული პერიოდით და ვის – ერთჯერადად. ბუნებრივია, ეს შეეხება არა მხოლოდ ყოფილ აკადემიურ პერსონალს, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომელიც უნივერსიტეტში მუშაობდა და რომელიც ნორმატიული აქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. მთავარი ისაა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება არ იქნება სავალდებულო შესასრულებელი, ეს იქნება უნივერსიტეტის უფლება, გამოიჩინოს კეთილი ნება სათანადო სახსრების არსებობის შემთხვევაში“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი ალექსანდრე ქანთარია დაინტერესდა, რა არასაბიუჯეტო შემოსავლებს ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არიან თუ არა სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები თანახმა — „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ამ ტიპის ცვლილება შევიდეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამ საკითხებზე საუბრისას აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ბანკებში დაბანდებული თანხების პროცენტებიდან და სხვა პროცესებიდან აქვს არასაბიუჯეტო შემოსავალი, რომელიც, დღეის მონაცემებით, მილიონ ლარამდეა, თუმცა, დახმარებაზე მისი მხოლოდ ნაწილი გაიცემა იმ კრიტერიუმების მიხედვით, რასაც უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) შეიმუშავებს. „რაც შეეხება სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებს, მხოლოდ ორი რექტორი შემეხმიანა კითხვით – იქნება თუ არა ეს ცვლილება სავალდებულო შესასრულებელი“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

პარლამენტის წევრი თემურ ჭკუასელი დაინტერესდა, რამდენი ადამიანი ითხოვს დღეს დახმარებას და რა კრიტერიუმები იქნება დადგენილი, რათა მათ ეს დახმარება მიიღონ.

უნივერსიტეტის რექტორის თქმით, დღეის მონაცემებით, ასეთი 120 ადამიანია, ხოლო რაც შეეხება კრიტერიუმებს, ეს დარეგულირდება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ნორმატიული აქტით. „რექტორი ამ საკითხში არ ჩაერევა. შეიქმნება სათანადო კომისია და მხოლოდ ამ კომისიის გადაწყვეტილებით გაიცემა ფინანსური დახმარება. ცხადია, შესაძლოა უკმაყოფილება იყოს, დღესაც ბევრი გვიჩივის სასამართლოში, მაგრამ არ ვარ მომხრე, უკმაყოფილების შიშით ეს ნაბიჯი არ გადავდგათ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

რა გეგმები აქვს ახალი ფაკულტეტის ახალ დეკანის მოვალეობის შემსრულებელს

*თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის პროცესი დასრულდა. მას შემდეგ, რაც გარდამავალი პერიოდის საფაკულტეტო საბჭომ (საბჭოში ფსიქოლოგიის მიმართულებიდან 20 პროფესორი, განათლების მიმართულებიდან 5 პროფესორი და 9 სტუდენტი შევიდა) ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად პირველივე სხდომაზე პროფესორი, ფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე აირჩია, თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ ახალი ფაკულტეტის დებულება დაამტკიცა. მალე დეკანის არჩევნები დაინიშნება და ფაკულტეტი სრულფასოვანი სახით გააგრძელებს ფუნქციონირებას. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს უკვე ჰყავს თავისი 2 წარმომადგენელი თსუ-ის აკადემიურ საბჭოში, რომლებიც 21 ოქტომბერს აირჩიეს. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის III კორპუსში განთავსდება, სადაც როგორც ფსიქოლოგიის, ისე განათლების მიმართულების წარმომადგენლები წლებია უკვე, რაც თავიან საქმიანობას ეწევიან. ფაკულტეტს საკუთარი ბეჭედი ჯერ არ აქვს. გამოცხადებულია ტენდერი, რის საფუძველზეც მალე მოგვარდება ეს პრობლემა და სტუდენტებს, როგორც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს, ცნობის აღება აღარ გაუჭირდებათ (ამჟამად მხოლოდ დროში ჭიანურდება ცნობის აღება). ახლად არჩეულ დეკანის მოვალეობის შემსრულებელს თამარ გაგოშიძეს ახალი ფაკულტეტის განვითარებისთვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის იმედი აქვს. თავისი გეგმების შესახებ **თამარ გაგოშიძე** გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ ესაუბრა:*

— აქამდე ჩვენ სტუდენტებს სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს ვანიჭებდით, ახალი ფაკულტეტის შექმნის შემდეგ კი მათ უკვე ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხს მივცემთ. შესაბამისად, გადახალისდება ჩვენი კურიკულუმიც. განათლების სპეციალისტებსაც მასწავლებელთა მომზადებასთან და განათლების საკითხებზე კვლევებთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვთ. ვფიქრობ, რომ საინტერესო ფაკულტეტი გვექნება იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი ინოვაცია დაიგეგმება.

— როდის განისაზღვრება ფაკულტეტის ბიუჯეტი?

— ფაკულტეტს ახალი ბიუჯეტი მაშინ დაუმტკიცდება, როდესაც თსუ-ის ახალი წლის ბიუჯეტს მიიღებენ. ბიუჯეტი დამოკიდებული იქნება ჩვენს შემოსავალზე, ანუ სტუდენტების რაოდენობაზე, დღეის მონაცემებით კი მათი რაოდენობა ცოტა არ არის — ჩვენს ფაკულტეტზე გადმოყვანილია 1405 სტუდენტი. მათ მიემატებათ ის სტუდენტებიც, რომლებიც ახალ ფაკულტეტზე სწავლას გადაწყვეტენ. ასე რომ, სტუდენტების სიმცირეს არ განვიცდით და შემოსავალიც ამაზე იქნება დამოკიდებული.

— როგორი იქნება ფაკულტეტის სტრუქტურა?

— ფაკულტეტზე შეიქმნება ორი დეპარტამენტი — განათლების და ფსიქოლოგიის. ეს დეპარტამენტები გააერთიანებენ სხვადასხვა ინსტიტუტებსა და მიმართულებებს. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტია, ფსიქოლოგიის დეპარტამენტში სოციალური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, განათლების ფსიქოლოგიის, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის, პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტებია.

— რამდენადაც ვიცი, ახალი აკადემიური კონკურსები არ გამოცხადდება...

— რა თქმა უნდა, არა. აკადემიური პერსონალის გადმოყვანა მოხდება ჩვეულებრივი ადმინისტრაციული წესით. მათ ავტომატურად გაუგრძელდათ ის ვადა, რა ვადითაც კონკურსის გზით არიან არჩეულნი. ალბათ აუცილებელი გახდება საშტატო ერთეულების დამატება, რადგან ჩვენ აქამდეც სერიოზული პრობლემები გვქონდა — კვირაში 205 საათი გვაქვს ზედმეტი, ხარისხიანი განათლების მიცემა კი, როცა ჯგუფში, სემინარზე 40 სტუდენტია, შეუძლებელია. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექტორი მხოლოდ 25 სტუდენტთან უნდა შედიოდეს სემინარზე, ეს 205 საათი კიდევ გაიზრდება. ასე რომ, დამატებითი ადგილები მომავალი კონკურსებისთვის დაგვჭირდება.

— რამდენადაც ცნობილია, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აღარ ფუნქციონირებს. ხომ არ იგეგმება მომავალში ამ ინსტიტუტის ინტეგრირება თქვენს ფაკულტეტთან?

— თუ უნივერსიტეტმა გამოაცხადა ვაკანსიები, ბუნებრივია, იმ კვალიფიციურ ფსიქოლოგებს, რომლებიც ამ ინსტიტუტთან თანამშრომლობდნენ, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ. ფაკულტეტთან დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ინტეგრირება კი, ამ ეტაპზე, არ განიხილება. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ფაკულტეტის

სტრუქტურაში მოაზრებული გვაქვს ფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის შექმნა. როცა ამ საკითხზე ვფიქრობდით, ის ადამიანებიც გვყავდა მხედველობაში, ვისაც კვლევის დიდი გამოცდილება აქვს და ვინც ამ ინსტიტუტის თანამშრომელი იყო.

მოამზადა **ნინო კაკულია**

თსუ-ს ახალი აკადემიური საბჭო ჰყავს

შოთა სამსონია

ნუგზარ სურგულაძე

მაია კოპალეიშვილი

მარიამ გერსამია

როლანდ ომანაძე

გიორგი გოგსაძე

21 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი აკადემიური საბჭო აირჩია. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, კენჭისყრის პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნების შედეგების მიხედვით, ახალი აკადემიური საბჭოს წევრთა სია ასე გამოიყურება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან არჩეულნი არიან პროფესორი და აკადემიკოსი შოთა სამსონია და პროფესორი როლანდ ომანაძე; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — პროფესორი რამაზ ქურდაძე და პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — პროფესორი გიორგი გოგსაძე და პროფესორი მარიამ გერსამია; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — პროფესორი ქეთევან ჭკუასელი და პროფესორი თამარ აბაშიძე; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან — პროფესორი და აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე და პროფესორი ქეთევან მარშავა; მედიცინის ფაკულტეტიდან — პროფესორი გიორგი გალდავა და პროფესორი თენგიზ ცერცვაძე; იურიდიული ფაკულტეტიდან — პროფესორი ნუგზარ სურგულაძე და პროფესორი მაია კოპალეიშვილი.

„არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. კენჭისყრის პროცესი შედგა სათანადო წესების დაცვით. უზრუნველყოფილი იყო დამკვირვებელთა მონაწილეობა და არ გამოთქმულა არანაირი სახის შენიშვნა. მშვიდ გარემოში შედგა შედეგების შეჯამების პროცესიც. საბოლოო ჯამში, საარჩევნო პროცესი დადებითად შეიძლება შეფასდეს“, — განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

„აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მიხედვით, კენჭისყრის პროცესის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატებს შეეძლოთ არჩევნების შედეგების გასაჩივრება, თუმცა საარჩევნო კომისიაში ამ საკითხთან დაკავშირებით არც ერთი განცხადება არ შესულა.

ვინ აირჩიეს 2 წლით და ვინ — 4 წლით?

უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის VII პუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს 1/3-ით განახლებას 2 წლის შემდეგ, გაიმართა წილის ყრა. აკადემიური საბჭოს უხუცესმა წევრმა შოთა სამსონიამ წილის ყრის შედეგად გამოავლინა 5 წევრი, რომლებიც მხოლოდ 2 წელი დაიკავებენ აკადემიური საბჭოს წევრის ადგილს. ესენი არიან: შოთა სამსონია, ქეთევან ჭკუასელი, ქეთევან მარშავა, გიორგი გოგსაძე, ნუგზარ სურგულაძე. აკადემიური საბჭოს დანარჩენი წევრების უფლებამოსილების ვადა 4 წლით განისაზღვრა.

თენგიზ ცერცვაძე

რამაზ ქურდაძე

ნანა გაფრინდაშვილი

ქეთევან ჭკუასელი

გიორგი გალდავა

ავთანდილ სილაგაძე

ქეთევან მარშავა

თამარ აბაშიძე

სამართლიანობის აღდგენის ტენდენციები თსუ-ში

პირველი გვერდიდან

2013–1014 წლებში უნივერსიტეტს 24 პროფესორი დაუბრუნდა

გთავაზობთ იმ პირთა სიას, რომლებიც კონკურსის გზით უნივერსიტეტში 2013-2014 წლებში დაბრუნდნენ:

- **ლელა გაფრინდაშვილი**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 9 დეკემბრიდან;
- **ვაჟა ლორთქიფანიძე**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **გიორგი ყიფიანი**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 19 მაისიდან;
- **ავთანდილ სილაგაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 20 იანვრიდან;
- **ლელა ბახტაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 20 იანვრიდან;
- **თამაზ ზუბიაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 20 იანვრიდან;
- **ენვერ ლაგვილავა**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **ნინო მიქიაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **ბაბულია მღებრიშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 9 სექტემბრიდან;
- **მაია სეთური**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **ირაკლი კობახიძე**, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **გიული ქეშელაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 9 სექტემბრიდან;
- **რამაზ ფუტკარაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 20 იანვრიდან;
- **ჯემალ ხარიტონაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **მანანა ხარხელი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **მერაბ ხმალაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 8 სექტემბრიდან;
- **მერაბ ჯიქია**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 9 სექტემბრიდან;
- **ნინო კიღურაძე**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 17 ივლისიდან;
- **ალექსანდრე კარტოზია**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 30 სექტემბრიდან;
- **თემურ კობახიძე**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 17 ივლისიდან;
- **ნოდარ ელიზბარაშვილი**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 8 აგვისტოდან;
- **მანანა ქარჩხიძე**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2013 წლის 9 სექტემბრიდან;
- **მანანა ხაჩიძე**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 30 სექტემბრიდან;
- **კობა გელაშვილი**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, არჩეულია კონკურსის წესით 2014 წლის 30 სექტემბრიდან.

აქტუალური

უნივერსიტეტის დაზარალების ხარჯზე აყვავებული ეკონომიკა არ გვინდა!

ნატო ოგოლაძე

2011 წლის მარტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია გაასხვისა. აღნიშნული სასწავლო-კვლევითი ბაზა 50 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა. ამ დროის მანძილზე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტში არსებული ინფორმაციით, მარტყოფის ლაბორატორიაში, მხოლოდ საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, 2000-მდე სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა, საქართველოდან — 10 000-მდე, დისერტაცია კი, ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების შედეგად, 20-მდე ახალგაზრდამ დაიცვა. მარტყოფის კვლევითი ბაზა უნიკალურია კავკასიის მასშტაბით, რადგან აქ გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს კომპლექსური პრაქტიკების გავლა შეეძლოთ, რაც გულისხმობს ერთდროულად ლანდშაფტური, კლიმატური, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური და ბიოგეოგრაფიული პრობლემატიკის შესწავლას. სასწავლო ბაზის გასხვისების შედეგად (ტერიტორია მოიცავს 4 ჰექტარ მიწასა და 500 კ/მ ფართობის შენობებს), ფაქტობრივად, შეწყვეტილია თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთანაც.

„მარტყოფის ბაზა აუქციონის წესით, დაჩქარებულად გაიყიდა. ვფიქრობ, ამის შესახებ უნივერსიტეტიდანაც ჰქონდათ სიტყვიერი თანხმობა. მაშინ მითხრეს, რომ გავჩუმებულიყავი და არ მებრძოლა, რადგან მყიდველი გვპირდებოდა იქვე 300კვ/მ-ის შენობის აშენება-მოწყობას. ეს იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც არ განხორციელდა. მიწა იყიდა იქაურმა მცხოვრებმა (როგორც სოფლის ხალხი ამბობს, კრიმინალთან და იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ადამიანმა). მარტყოფელთა თქმით, მყიდველს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ვანო მერაბიშვილთან და ამიტომ, სავარაუდოდ, უნივერსიტეტმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ლაბორატორიის გასხვისებას. ამის შემდეგ ჩვენ მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს და პროკურატურასაც, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, რადგან მაშინ ხელისუფლებაში სხვა ინტერესების მქონე ხალხი იყო. ხელისუფლების ცვლილების შემდგომ ჩვენ განვაახლეთ ბრძოლა. ამჟამად ასეთი სიტუაციაა — ბაზის მყიდველი იმყოფება მიმალვაში, ხოლო ეს ტერიტორია გაყიდულია მეორე პირზე (აქ ფიგურირებს უკრაინული გვარი). მოვიპოვეთ საბუთებიც, სადაც ჩანს, რომ, თუ მაშინ მიწის კვ/მ ფიციალურად ღირდა 5 ლარი, იგი გაყიდულია ამის ნახევარ ფასად. ამგვარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც.

ამ საკითხზე ინფორმაცია „საერთო გაზეთში“ ორჯერ დაიბეჭდა, გამოქვეყნებული იყო სტატია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტშიც“. ვფიქრობ, რომ როცა ვსაუბრობთ კრიმინალის ნიშნებზე, ძალოვანი სტრუქტურები მინიმუმ უნდა დაინტერესდნენ მაინც. ახლა მარტყოფის გეოგრაფიული ბაზა უპატრონოდ არის მიგდებული, საძოვრად არის ქცეული 50 წლის უნიკალური ნაკრძალი. ჩვენთან სწავლების მესამე საფეხური — კომპლექსური პრაქტიკები ჩაშლილია. მე არ ვჩერდები, მაგრამ ისე გამოდის, თითქოს პირადად ჩემს ინტერესებში შედიოდეს ამ ბაზის დაბრუნება, არადა, ეს, უპირველესად, უნივერსიტეტის ინტერესია. ვფიქრობ, რომ თსუ-ის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ უფრო მეტი მხარდაჭერა უნდა გაგვიწიოს“, — აცხადებს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი.

> მე არც ისეთი აყვავებული ეკონომიკა მინდა, რომელიც უნივერსიტეტის დაზარალების ხარჯზე მოხდება. ეს მომავალი თაობების წინაშე უდიდესი დანაშაული იქნება, რადგან ეკონომიკას სჭირდება მდგრადი განვითარება, მდგრადი განვითარების საფუძველი კი განათლებაა

გეოგრაფიის დეპარტამენტმა მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელმაც ინფორმაციით დაინტერესებული მხარე პასუხის მისაღებად ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში გადაამისამართა. სააგენტოდან მიღებულია ოფიციალური წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია და 4 ჰექტარი მიწა 2011 წელს სრული კანონის დაცვით გაიყიდა.

„ქონებას, რომელიც უნივერსიტეტის განკარგულებაში იყო, ყოველთვის ჰქონდა იურიდიული სტატუსი — იყო მის ბალანსზე რიცხული. 2006 წლიდან შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და დაიწყო ამ ქონების უნივერსიტეტისთვის უზურფრუქტის წესით გადმოცემის პროცედურა. მას შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა დაწესებულებებისთვის ქონების გადაცემის ფორმა და სახეობაც, მაგრამ ამან სიტუაცია არ შეცვალა. უზურფრუქტის წესით იქნებოდა ეს თუ უბრალოდ სარგებლობაში, ქონება ჩვენთვის უნდა გადმოეცათ მისი სასწავლო პროცესისთვის საჭიროების გამო. პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, უძრავი ქონების საკუთრებაში გადმოცემის პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებიდან უნდა დაწყებულიყო და შემდგომში დაიწყო კიდეც. მარტყოფის ლაბორატორიის გაყიდვის შესახებ ოფიციალურად არავის მოუმართავს. ჩვენ ფაქტის წინაშე დავდექით. გვქონდა მხოლოდ ზეპირი ინფორმაცია და ყოველივე ოფიციალურად მას შემდეგ შევიტყვეთ, რაც საჯარო რეესტრის მონაცემებში აისახა შესაბამისი ინფორმაცია. ზოგადად, მესაკუთრე (ამ შემთხვევაში სახელმწიფო), ვალდებული არ არის, რომ შეგვატყობინოს მის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვის სურვილის შესახებ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ, თსუ-ის საქმის კურსში ჩაყენების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ქონების გაყიდვაზე უარს იტყოდა, რადგან ეს ქონება სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ძნელი სათქმელია ისიც, თუ რა შედეგს მოგვცემდა ჩვენი წინააღმდეგობა.

მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორიის გასხვისების ამბის შეტყობის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ზეპირი კონსულტაციები გვქონდა, თუმცა მხოლოდ რიგით თანამშრომელთან მოლაპარაკების დონეზე. ამ დროისთვის სარჩელზე ან რაიმე სახის საჩივარზე საუბარი არ არის, რადგან ჩვენ ოფიციალურად ამ სარჩელისა თუ საჩივრის სამართლებრივი საფუძვლებიც არ გაგვაჩნია. თსუ-ის იურიდიულმა დეპარტამენტმა, უნივერსიტეტის სახელით, ამ საკითხის ხელახალი რევიზირება რომ მოახდინოს (გარდა ოფიციალურად ხსენებული სარჩელისა თუ საჩივრისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლებისა), ადმინისტრაციიდან შესაბამისი დავალება უნდა მიიღოს“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ.

მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია ერთადერთი ობიექტი არ არის, რომლის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადმოცემასაც თსუ ითხოვს. საუბარია დაახლოებით 100-ზე მეტ ობიექტზე, რომელიც, ამ დროისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებით სარგებლობაშია — ოფიციალური მესაკუთრე სახელმწიფოა და უნივერსიტეტს ჯერჯერობით არ გადმოსცემია. მათ შორის არის თბილისში, სვანიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონება, სადაც განთავსებულია თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. 2014 წლის 9 სექტემბერს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოფიციალური წერილით მიმართა და მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული ქონების ელექტრონული აუქციონით გაყიდვის განხილვის შესახებ. „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ წერილში დასმული საკითხი და მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე“, — აღნიშნულია დოკუმენტში. თავის მხრივ, თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ საპასუხო წერილით უკვე მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, დოკუმენტის ასლები ასევე გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

„ლაბორატორია დღიდან დაარსებისა ჩართულია სასწავლო პროცესში და ყოველ სემესტრში ასეულობით სტუდენტისთვის ინტენსიურად ტარდება ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები სწავლების სამივე საფეხურზე. ლაბორატორიის კვირეული დატვირთვა შეადგენს 20-25 საათს. გარდა ამისა, ლაბორატორიის ბაზაზე სისტემატურად ტარდება სასწავლო პრაქტიკები ჰიდრომეტეოროლოგიაში როგორც თსუ-ის ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების (ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი) სტუდენტებისთვის. ამასთანავე, ლაბორატორიაში ტრენინგებს გადიან საშუალო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებიც.

ლაბორატორიის ბაზაზე განლაგებულია: ორი ნაგებობა (აუდიტორიებით, სამუშაო ოთახებით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით), ორი მეტეოროლოგიური მოედანი და ჰიდროლოგიური საგუშაგო (მდ. ვერეზე), სადაც სისტემატურ რეჟიმში ყოველდღიურად ხორციელდება სამჯერადი დაკვირვებები ამინდისა და მდინარის პარამეტრებზე. შესაბამისად, ლაბორატორიისთვის ამჟამად არსებული ტერიტორია შენობა-ნაგებობებითურთ აუცილებელია ფუნქციონირებისთვის. მეტეოსადგურებზე მიმდინარეობს სისტემატური დაკვირვება მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე, რის მიხედვითაც დგინდება თბილისის მიკროკლიმატი. წყალსაზომ საგუშაგოზე კი 1962 წლიდან უწყვეტად მიმდინარეობს მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის მიდამოებში მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესასწავლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ თსუ-ის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ დათანხმდება ქ. თბილისში სვანიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს“, — აღნიშნულია რექტორის წერილში.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ნაწილის პრივატიზების საკითხი განიხილა თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ.

„ეს ნამდვილად არ არის ქართული ეკონომიკის აყვავების საფუძველი. მე არც ისეთი აყვავებული ეკონომიკა მინდა, რომელიც უნივერსიტეტის დაზარალების ხარჯზე მოხდება. ეს მომავალი თაობების წინაშე უდიდესი დანაშაული იქნება, რადგან ეკონომიკას სჭირდება მდგრადი განვითარება, მდგრადი განვითარების საფუძველი კი განათლებაა“, — განაცხადა სხდომაზე თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ლაბორატორიის გაყიდვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უკვე ეცნობა შესაბამის სტრუქტურებს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო და გაითვალისწინებს თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციას, ჯერჯერობით უცნობია.



მაღლივის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დროებით შეჩერდა

თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე გაზგასამართი სადგურის საკითხთან დაკავშირებით ცვლილებებია. ამ დროისთვის მშენებლობა შეჩერებულია. შპს „გაზვილის“ მფლობელი ვახტანგ ჩახნაშვილი მზად არის — მშენებარე ობიექტის პროფილი შეცვალოს და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ახალი ბიზნესგეგმა შეიმუშაოს. ეს გადაწყვეტილება შპს „გაზვილის“ მფლობელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და თსუ-ის ადმინისტრაციასთან შეხვედრის შედეგად მიიღო. რიგით მესამე მოლაპარაკება ვახტანგ ჩახნაშვილთან, რომელსაც უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, სტუდენტების მხრიდან ირაკლი კუპრაძე და რამდენიმე პრაქტიკოსი იურისტი ესწრებოდა, 24 ოქტომბერს გაიმართა.

ნატო ოგოლაძე

„პარასკევს ინვესტორთან უკვე მესამე შეხვედრა გავმართეთ. მანამდე მას ტელეკომპანია „მაესტროში“ გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტის“ ჩაწერისას შევხვდი, სადაც მან გააჟღერა, რომ სტუდენტებთან მოლაპარაკება სურდა. და აი, პარასკევს სტუდენტების, ადმინისტრაციისა და ინვესტორის ერთობლივი შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკებების შედეგი ასეთია — ბატონი ვახტანგ ჩახნაშვილი თანახმაა პროექტის პროფილის შეცვლაზე — იგულისხმება გაზგასამართი სადგურის ნაცვლად უმაღლესი სასწავლებლისთვის შესაფერისი ობიექტის მშენებლობის დაწყება. ინვესტორი იმაზეც თანახმაა, რომ ალტერნატიული ფართის შეთავაზების შემთხვევაში გაზგასამართი სადგური სხვაგან ააშენოს. სირთულეები ამ შემთხვევაში მაინც იქმნება: მშენებლობის პროფილის შეცვლა დაკავშირებულია აუქციონის წესით ნაყიდი ქონების სატენდერო ვალდებულებებთან, რომელიც მილიონნახევრიანი ინვესტიციის განხორციელებასა და, მისი არშესულების შემთხვევაში, დიდი ოდენობით ჯარიმების დაკისრებას გულისხმობს. შესაბამისად, ეს უკვე სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული — რამდენად მისცემს კომპანიას იგი მშენებლობის პროფილის შეცვლის საშუალებას ისე, რომ ჯარიმები არ დააკისროს. შესაძლოა სახელმწიფომ ინვესტორისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფაც უზრუნველყოს. ჩვენ სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებზე ვისაუბრეთ ინვესტორთან შეხვედრისას, რომელსაც იურისტებიც ესწრებოდნენ. საჭიროა ისეთი იურიდიული გზების მოძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს — არ დავაზარალოთ კერძო ბიზნესის ინტერესები და კომპანიას არ დაეკისროს ჯარიმები.

ამ დროისთვის, მხოლოდ და მხოლოდ იდეის დონეზეა, რომ გაზგასამართი სადგურის ნაცვლად აშენდეს საოფისე ფართი, რომლის პირველ ორ სართულზე წიგნების მაღაზია ან საკვები ობიექტი გაიხსნება. მშენებლობა, არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებით და ა.შ., შეთანხმებული იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მთავარი პრობლემაა, თუ როგორ მოახერხებს ეს კომპანია დამატებითი ხარჯების მობილიზებას, რადგან ასეთი ობიექტის მშენებლობა გაცილებით ძვირი დაჯდება.

მოლაპარაკების შედეგად 22 ოქტომბრიდან მშენებლობა შეჩერდა. კომპანია უკვე მუშაობს ახალ ბიზნესგეგმაზე. ჩვენი მხრიდან მზად ვართ, რომ შპს „გაზვილის“ ინტერესები დავიცვათ სხვადასხვა სახის აქტივობების გზით“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ირაკლი კუპრაძემ.

შპს „გაზვილის“ მფლობელთან შეხვედრას წინ სტუდენტური აქციები უძღოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობასთან სტუდენტებმა თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა 20 ოქტომბერს კიდევ ერთხელ გააპროტესტეს.

„თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობ და ეს საკითხი მაწუხებს, რადგან ამ სახის მშენებლობა სტუდენტებს სასწავლო პროცესში ხელს გვიშლის“, — აღნიშნა ნანი გურგენიძემ.

„უნივერსიტეტი სტუდენტებს ეკუთვნით და სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ჩვენი უფლებების დაცვას. გაზგასამართი სადგურის მშენებლობა საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე ჩვენ, რომლებიც თვეში ერთხელ თსუ-ის ბიბლიოთეკის შენობაში გამოცდებს ვაბარებთ“, — გვითხრა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა თამარ მამარდაშვილმა.

სტუდენტურ აქციას ესწრებოდნენ თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და აკადემიური პერსონალიც.

„მთელი სულითა და გულით ვუერთდები ამ აქციას. რაც მთავარია ამ მოთხოვნას მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, სენატი და რექტორი. თსუ-ის პირველი კორპუსის კიბეებთან ბევრი აქცია გამართულა და უმრავლეს შემთხვევაში — სამართლიანი. ამჟამადაც თქვენი მოთხოვნა უკეთილშობილესია, რადგან კავკასიაში უპირველესი უნივერსიტეტის ინტერესებს იცავთ. ეს საქართველოს ინტერესების დაცვაცაა... გისურვებთ წარმატებებს! ვფიქრობ, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“, — მიმართა აქციაზე შეკრებილ სტუდენტებს თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

„ის, რაც ხდება უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, არანაირად არ შეუწყობს ხელს საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ხელისუფლება ამ საკითხს ისე გადაწყვეტს, როგორც უნივერსიტეტისთვის უკეთესია. მოტივაცია, რომ ამ მშენებლობის შეჩერებით წარმოების განვითარებას შეეშლება ხელი, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან სხვა უამრავი თავისუფალი ადგილია ვაკე-საბურთალოს რაიონში, სადაც მსგავსი ობიექტი შეიძლება აშენდეს“, — აღნიშნა პროფესორმა რომან ხარბედიამ.

თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარედ გაზგასამართი სადგურის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით სტუდენტურ აქტივობებს ინციდენტიც მოჰყვა. სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ირაკლი კუპრაძე მაღლივის ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა (მანქანის სახელმწიფო ნომერია — VJV-411) გააჩერეს, დაემუქრნენ და გააფრთხილეს — შეეწყვიტა პროტესტი. ამ დროისთვის აღნიშნულ ინციდენტს გენ-ინსპექცია იძიებს. საგამოძიებო უწყებას ირაკლი კუპრაძემ შესაბამისი ჩვენება უკვე მისცა.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები რექტორს შეხვდნენ

სტუდენტს, რომელიც მოტივირებულია, რომ სტუდენტური ცხოვრება შინაარსიანად გაატაროს და, ამასთან, ხარისხიანი განათლება მიიღოს, ყოველთვის აქვს პრეტენზია და კითხვები მასთან, ვისაც ამ პრობლემების მოგვარება ხელეწიფება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ თავისი მოღვაწეობა სწორედ სტუდენტებთან შეხვედრებით და მათი პრობლემების შესწავლით დაიწყო, რომელსაც შესაბამისი და ადეკვატური ნაბიჯებიც მოჰყვა. სტუდენტები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათი ხმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან აღწევს და იმედი აქვთ, რომ ასეთი შეხვედრები შედეგს გამოიღებს.

შურთხია გეროშვილი

2 ოქტომბერს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში სტუდენტების მოსასმენად თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა კვლავ მივიდა. ამჯერად რექტორს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები შეხვდნენ, რომლებმაც შეკითხვები სტუდენტების მოთხოვნების მიხედვით მოამზადეს.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის თქმით, შეხვედრაზე დელეგატებმა რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე შეაჩერეს ყურადღება, მათ შორის ისაუბრეს საგამოცდო ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხზე და რექტორს სტუდენტების პრეტენზიები გააცნეს.

„მართალია, უნივერსიტეტში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა და საგამოცდო ცენტრის მუშაობაც გამოსწორდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც გამოცდის შედეგები გვიან ხდება ცნობილი, რაც სტუდენტს პრობლემას უქმნის. შესაძლოა, ეს ლექტორის უპასუხისმგებლობის ბრალიც იყოს, თუმცა, ვალდებულება ორივე მხარეს დაეკისრება. სწორედ ამის შესახებ ვესაუბრეთ რექტორს და პრობლემის გადაჭრის გზებზე ვიმსჯელეთ“, — ამბობს შალვა საბაური.

მისი ინფორმაციით, სტუდენტების წერილობითი მოთხოვნების გაცნობისას კიდევ რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა, მათ შორის, თსუ-ის ბიბლიოთეკის შენობაში გამოცდების დროს ჰიგიენის ნორმების დაცვა, სტუდენტებისთვის წყლით მომარაგების პრობლემა და სხვა. მათი მოგვარება თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით ჩომახიძემ ითავა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ სტუდენტებიც მოვალენი არიან თავადაც დაიცვან ჰიგიენის წესები.

როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მათ ასევე აწუხებთ ავტოფარეხის პრობლემაც. რექტორთან შეხვედრის დროს ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ თსუ-ის ავტოფარეხში მოძველებული მანქანებია, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა ჯგუფების გადაადგილებას. „ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე სპორტულ გუნდს სურს გაემგზავროს შეჯიბრებაზე, ან სტუდენტთა ჯგუფს უნდა მოაწყოს ექსკურსია ქალაქგარეთ, მაგრამ ამის საშუალება არ არის. ამის გამო სტუდენტებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს თსუ-ის ადმინისტრაციას. კარგია, რომ ამის შესახებ დადებითი პასუხი მოვისმინეთ — რექტორის ინფორმაციით, 2015 წელს თსუ გეგმავს ახალი მიკროავტობუსის შეძენას და ეს პრობლემაც მოგვარდება“, — აღნიშნა შალვა საბაურმა.



თსუ-ის რექტორთან შეხვედრისას სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა სტუდენტური ბარათების შემოღების საჭიროებაზეც ისაუბრეს. მათი თქმით, ამ საბუთის უქონლობა ხშირად უქმნის სტუდენტს ბარიერს ქუჩაში, ტრანსპორტში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე. „სტუდენტები ხშირად ჩივიან, რომ ისინი ქუჩაში გააჩერეს და სასწავლებლიდან საბუთი მოითხოვეს, გარდა ამისა, როდესაც თსუ-ში რაიმე სტუდენტური - კულტურული ან სპორტული ღონისძიება ტარდება, შესაძლოა, უნებურად, ამ ღონისძიებაში უცხო პირი ჩაერთოს, ამიტომ იძულებულნი ვართ, მათგან მოვითხოვოთ ცნობა დეკანატიდან, ეს კი გარკვეულ პროცედურასთან არის დაკავშირებული. ამის გამო დეკანატებთან რიგები არ წყდება. ამდენად სასურველია, თსუ-ის სტუდენტს ჰქონდეს სტუდბილეთი“, — აღინიშნა შეხვედრაზე. შალვა საბაურის თქმით, რექტორმა ამ მოთხოვნის შესრულებაზეც თანხმობა განაცხადა და, სავარაუდოდ, მომავალი სასწავლო წლიდან თსუ-ის სტუდენტებისთვის კვლავ დამზადდება სტუდბილეთები.

თსუ-ის რექტორთან შეხვედრისას სტუდენტებმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ისაუბრეს, მათ შორის, თსუ-ში უცხო ენების სწავლების დონის ამაღლებასა და ლექტორების მივლინებების ხარჯების გასაჯაროებაზე.

„სამწუხაროდ, უცხო ენების სწავლების კუთხით პრობლემები კვლავ იჩენს თავს. სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ სწავლების დონე დაბალია და ამ მხრივ ცვლილებებს ელოდება. ამასთან, ხშირად შემოდის ჩვენთან საჩივარი, რომ ლექციები კვლავ ცდება, რაც ლექტორების ხშირი მივლინებებით არის განპირობებული. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გასაჯაროვდეს ინფორმაცია - თუ ვინ და რა მიზნით გაემგზავრა მივლინებაში“.

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ გულისყურით მოისმინეს სტუდენტების პრეტენზიები და მათი მოგვარების გზებიც დასახეს. ამასთან, აღინიშნა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კოორდინირებულად იმოქმედებენ.

მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის ფორმატში შეხვედრა მინისტრთან — ნოდარ ხადურთან

საქართველომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საბჭოთა კავშირის დაშლის დროს არსებულ ეკონომიკურ დონეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი: „პოლიტეკონომიკური საუბრები ლადო პაპავასთან“, რომლის ფარგლებშიც თვეში ერთხელ იმართება საჯარო ლექციები და პრეზენტაციები საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიკის დარგის მეცნიერები, სამომავლოდ კი დაგეგმილია დოქტორანტების და მაგისტრანტების საინტერესო ნაშრომების მოსმენაც.

2 ოქტომბერს, სემინარის ფორმატში, ლექცია: „პოლიტიკური იდეოლოგიები და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია საქართველოში“ წაიკითხა ეკონომიკის დოქტორმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ნოდარ ხადურმა**.

ლექციის პირველი ნაწილი დაეთმო იდეოლოგიების გავლენას მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. ითქვა, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკა ბევრ საინტერესო ფაქტორს ეყრდნობა: მათ შორის, ქვეყნის განვითარების დონეს, საზოგადოების განვითარების დონეს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, ლიდერის ინსტიტუტს და ა.შ. ეს არის ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ — თუ როგორი უნდა იყოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ფორმირებასაც, თავის მხრივ, იდეოლოგია უდევს საფუძვლად. „იმისათვის, რომ გავიგოთ — იდეოლოგიურად სად ვართ და ვნახოთ — რა ტრანსფორმაციას განიცდის ჩვენი ეკონომიკა, უნდა გავიხსენოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის ეპოქა, საიდანაც, ისტორიული გარემოებების გამო, ჩვენც მოვდივართ და უნდა გავიხსენოთ ამ ორი საზოგადოებრივი ფორმაციის „დიადი“ პრინციპები: ერთ შემთხვევაში იდეოლოგია ეყრდნობოდა პრინციპს: „ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით და ყველას — შრომის მიხედვით“, მეორე შემთხვევაში კი პრინციპს: „ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით და ყველას — მოთხოვნილების მიხედვით“. ცოტა ხნის წინ ჩვენს ქვეყანაში ეს ეპოქა დასრულდა. ახლა საინტერესოა, საით მივდივართ?“ — აღნიშნა ნოდარ ხადურმა და დასძინა, რომ საქართველომ ახალ ფორმაციაზე გადასვლისთვის ტრანსფორმაციის რაღაც ნაწილი უკვე გაიარა, თუმცა გასავლელი დარჩა მნიშვნელოვანი ეტაპები, მათ შორის: არჩევანის და მეწარმეობის თავისუფლება, კერძო ინტერესი, კონკურენცია, ფასების სისტემა, ანუ საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს შეზღუდული როლი, ანუ ე.წ. კაპიტალისტური იდეოლოგია, რომელსაც ქვეყანა უნდა ეყრდნობოდეს.

ლექციის შემდგომ ნაწილში პროფესორმა ნოდარ ხადურმა ისაუბრა საქართველოს უახლეს ეკონომიკურ ისტორიაზე. მან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოკვეთა და განაცხადა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნის რამდენიმე სერიოზული კონცეფცია შემუშავდა, თუმცა ქვეყანა მაინც მძიმე დღეში აღმოჩნდა, რადგან ეკონომიკის განვითარებაზე მაშინ ნაკლებად ზრუნავდნენ. „შედეგად, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ეკონომიკურად ყველაზე დიდი დარტყმა — 75 პროცენტიანი დაცემა — საქართველომ მიიღო. ჩვენზე ცუდ მდგომარეობაში იყო მხოლოდ ერთი ქვეყანა — ტაჯიკეთი. დღესაც, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, საქართველო, მოლდოვა და ტაჯიკეთი არიან ის ქვეყნები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საბჭოთა კავშირის დაშლის დროს არსებულ ეკონომიკურ დონეს“, — განაცხადა მან და დაწვრილებით მიმოიხილა ის მიზეზები, რომლის გამოც ქართული ეკონომიკა გასული ოცწლეულის განმავლობაში მუდმივად რეგრესს განიცდიდა.

საჯარო ლექციაზე ასევე შეფასდა ის რეფორმები, რომლის ჩატარებასაც საქართველოს ყველა მთავრობა ცდილობდა, თუმცა ვერც ერთმა ვერ მოახერხა ერთი და მყარი გზის მოძებნა, რომ ეკონომიკური წინსვლა მნიშვნელოვანი ტემპებით დაწყებულიყო. „თავიდან რეფორმები ემყარებოდა ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსს, ანუ შოკურ თერაპიას, თუმცა, არა ბოლომდე, ვინაიდან არსებობდა საკითხები, რომლებშიც არათანმიმდევრულები ვიყავით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უფრო რუსულ გზას გავყევით, ვიდრე იმ გზას, რომელსაც კლასიკური შოკური თერაპია ითვალისწინებდა. საბოლოოდ, მხოლოდ 1994 წლიდან მოხერხდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. 1996-1997 წლები საქართველოში ეკონომიკის აღმავლობის ძალიან საინტერესო წლები იყო (დაფიქსირდა 10 პროცენტზე მეტი ეკონომიკური ზრდა). ასეთი სულ ოთხი წელი გვქონდა საქართველოს ისტორიაში: 1996, 1997, 2003 და 2007. ამ წლებში ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. სამწუხაროდ, მისი გამეორება ვეღარ მოვახერხეთ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამას აუცილებლად მივაღწევთ“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

მან გასული წლების ყველაზე წარმატებულ რეფორმად მიიჩნია ფულის, კერძოდ, ლარის რეფორმა და პურზე ფასების გათავისუფლება.

როდის დაირღვა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი?

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გამოკვეთა ე.წ. „უძრაობის ხანა“ — 1998 წლიდან 2003 წლამდე. მისი თქმით, ამ პერიოდში მმართველი გუნდის ერთი ფრთა დაუფარავად ებრძოდა მეორეს, რის შედეგადაც ქვეყანაში შეფერხდა ეკონომიკური რეფორმები და პრივატიზაციის პროცესი. „თეორიაში ძალიან ხშირად განიხილება პრივატიზაცია, როგორც არა ქონების, არამედ ფუნქციების გაყიდვა, სახელმწიფოს მხრიდან მათ ნაწილზე უარის თქმა და კერძო სექტორისთვის გადაცემა. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ფუნქციის გადაცემა წარმოუდგენელია, მაგრამ „უძრაობის პერიოდში“ სახელმწიფო იღებდა ვალდებულებებს ისეთ რამეზე, რომლის შესრულების ეფექტიანობა სახელმწიფოს ხელში გაცილებით დაბალი იქნებოდა, ვიდრე კერძო სექტორის ხელში. ამის შედეგებს ჩვენ დღესაც ვიმკით. მაგალითად, ქვეყანაში 400 სახელმწიფო საწარმოა, საიდანაც რეალურად მომგებიანია ხუთი. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო საწარმო არ შეიძლება იყოს მომგებიანი, არამედ იმიტომ, რომ ის 396 საწარმო არის იმ ფუნქციების მატარებელი, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფო ფუნქცია“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მომხსენებელმა რადიკალიზმად შეაფასა 2003 წლის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა, რასაც, მისი აზრით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კერძოდ, 2007 წლამდე, ძალიან დიდი ეკონომიკური ზრდა მოჰყვა, მაგრამ 2007 წლის შემდეგ, ამ რადიკალურმა პოლიტიკამ, ეკონომიკაშიც და სახელმწიფო მმართველობაშიც, საერთოდ დაანგრია ქვეყანაში ყველაფერი, მათ შორის, ლიბერტარიანიზმის მთავარი პრინციპი — კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. „როდესაც ჩვენ ვამაყობდით, რომ თურმე საქართველოში 15 წუთშია შესაძლებელი — შექმნა საწარმო და ამან უნდა დააინტერესოს ინვესტორები, არავის ხმამაღლა არ უთქვამს, რომ ასევე 15 წუთში იყო შესაძლებელი — ადამიანს თავისი ოფლით შექმნილი ქონება დაეკარგა. ინვესტიციების დიდი ნაწილი, რომელიც 2007 წელს ჩაიდო საქართველოში და რაც 2 მილიარდ დოლარს აღემატებოდა, იყო არა რეალურად ინვესტიცია, არამედ უძრავი ქონების მეპატრონის შეცვლა (ხშირ შემთხვევაში, უკვე პრივატიზებული ქონების წართმევისა და ხელახლა გაყიდვის ხარჯზე)“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა და მსმენელს გააცნო სტატისტიკური მონაცემები – როგორი იყო საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები საბჭოთა პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 1998 წლამდე, 1998-2004 წლებში და 2004-დან 2012 წლამდე. მონაცემების გაანალიზების შემდგომ კი მან პარალელები გაავლო მეზობელი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

ლექციის შემდგომი ნაწილი დაეთმო საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის მიმოხილვას. პროფესორმა ნოდარ ხადურმა დაწვრილებით გააანალიზა ნაერთი ბიუჯეტის საკითხი, ფასების დონე, ექსპორტ-იმპორტის ურთიერთმიმართება და რუსული ემბარგოს გავლენა ქართულ ეკონომიკაზე.

ექსპორტი

1988 წელს ექსპორტის მაჩვენებელი 9 მილიარდი დოლარი იყო, 2013 წელს კი — დაახლოებით 6 მილიარდზე ცოტა მეტი. რუსეთის ემბარგომ, განსაკუთრებით აგრარული პროდუქციის ექსპორტზე, მნიშვნელოვნად შეამცირა ეს მაჩვენებელი. ფინანსთა მინისტრის თქმით: „წელს ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა აზერბაიჯანის მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში მიღებულმა გადაწყვეტილებამ — 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების სახელმწიფოში შეყვანის აკრძალვის შესახებ საქართველო დააზარალა. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია საქართველოს ბაზრის ძველი ავტომანქანებით გაჯერება და ექსპორტის მოცულობის შემცირება.

მნიშვნელოვანია, რომ იზრდება დამამუშავებელი მრეწველობისა და ადგილობრივი წარმოების უკლებლივ ყველა მიმართულების ექსპორტი, გაორმაგებულია ღვინის წარმოებისა და გატანის მაჩვენებელი, ხოლო ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდგომ საქართველოს აქვს კარგი შესაძლებლობა, რომ გახდეს პლაცდარმი ექსპორტისთვის ევროკავშირში, მით უფრო, რომ საქართველო არის ტრანზიტული ქვეყანა“, — აღინიშნა ნოდარ ხადურმა საჯარო ლექციაზე.

აქვე ცნობილი გახდა, რომ იმპორტის მაჩვენებელი 2013 წელს ოდნავ შემცირებული იყო, 2014 წელს კი იგი გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონლის მოხმარებაც იზრდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საჯარო ლექციაზე ასევე შეფასდა გავლენები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და აღინიშნა, რომ ამ სეგმენტზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, თუმცა ეკონომიკური პრობლემები გაცილებით ადრე, მაისში დაიწყო. ამ პერიოდიდან ბანკები უკვე უარს ამბობდნენ სესხების გაცემაზე. „მართალია, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოზეც მოახდინა გავლენა, მაგრამ საქართველოს ჩართულობა ეკონომიკის გლობალურ ფინანსურ ბაზარზე დაბალი იყო, რამაც ქვეყანას, ასე ვთქვათ, გარკვეული იმუნიტეტი შეუნარჩუნა. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ომის შემდგომ საქართველომ საკმაოდ დიდი დახმარება მიიღო“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა

კაპიტალური ხარჯები

„კაპიტალური ხარჯები არის ხარჯების ის ნაწილი, რომელიც ეკონომიკაზე ყველაზე გამაჯანსაღებელ ზეგავლენას ახდენს და ჩვენთან იგი არ არის ძალიან მაღალი, რადგან ხარჯების დიდი ნაწილი სოციალურ დაცვაზე მიდის. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტი — 2.8 მილიარდი ლარი მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტია. ასევე დიდი ხარჯებია განათლებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, თავდაცვაზე და ა.შ. ამის გამო, ვთქვათ, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჩვენ მხოლოდ 1 მილიარდი ლარი გვრჩება და ესეც იმ ფონზე, როდესაც „მაღალი ბიუჯეტის სფეროებშიც“ მძიმე მდგომარეობაა.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველო ევროპაში არის ერთადერთი სახელმწიფო, სადაც, მოსახლეობის საერთო შემოსავლების გაორმაგების პარალელურად, მოსახლეობის 40 პროცენტის შემოსავლები შემცირდა. ეს, თავისთავად ცხადია, ძალიან ცუდია, რადგან ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების გადანაწილებაში არსებული უთანაბრობა გაიზარდა. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გვქონოდა ინკლუზიური, ე.წ. ყოვლისმომცველი ზრდა, რათა ადამიანებმა რაღაც დოზით იგრძნონ ეკონომიკური ზრდის სარგებელი. საერთო ჯამში კი, მთავარი ის არის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები უნდა გაიზარდოს და უმუშევრობა 20 პროცენტით შემცირდეს“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ეკონომიკური თავისუფლების და ქონების დაცვა

ლექციაზე ასევე აღინიშნა, რომ დღეს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი არის ინვესტიციების ხელის შეწყობა, რომელიც თავისუფლებას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიებს უნდა ეყრდნობოდეს. ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ძალა კერძო სექტორი უნდა იყოს და არა სახელმწიფო, რადგან, თუ სახელმწიფო იქნება განმსაზღვრელი — თუ სად რა უნდა აშენდეს, ვინ უნდა ააშენოს, რამდენად, როგორ და ა.შ., ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შორს ვერ წავა.

აქვე აღინიშნა ხარისხიანი განათლების მიღების პრობლემის შესახებაც: „მიუხედავად იმისა, რომ დიპლომების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, განათლების დონით, სამწუხაროდ, სტანდარტებს ჩამოვრჩებით. ერთი მაგალითი უნდა მოგიყვანოთ. ჩვენ, დაახლოებით, ერთი წელია, კონკურსი გვაქვს გამოცხადებული ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი ცუდი არ არის (დაახლოებით 5 ათას ლარამდეა), ვერავინ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ასევე ვეძებთ შიდა აუდიტის უფროსს. ჩემდა გასაკვირად, ვერც ამ ვაკანსიაზე წამოყენებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა კერძო სექტორში. როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ცნობილი ნავთობსადენის მშენებლობა მიმდინარეობდა, ბიპი-მ პაკისტანიდან შემოიყვანა შემდუღებლები, რადგან შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები საქართველოში ვერ ნახა. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ განათლებას მივაქციოთ ყურადღება“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

მე-10 გვერდზე

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚ 22 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲑᲐ

ირაკლი კობახიძე იმ პროფესორთა შორისაა, ვინც უნივერსიტეტს ახლახანს დაუბრუნდა. მას 2011 წელს უნივერსიტეტი დაატოვებინეს და მხოლოდ 2014 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად გახდა იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. 2009-2010 წლებში მასთან, როგორც ასისტენტ-პროფესორთან ინტერვიუს ჩაწერაც კი გვეკრძალებოდა, რამეთუ ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე მათ შორის იყო, ვინც თავიდანვე აკრიტიკებდა 2010 წელს მიღებულ ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში. იგი „საშიშ" რესპონდენტად განიხილებოდა მაშინდელი ხელისუფლების ოპოზიციონერი მამის, პოლიტიკოს გიორგი კობახიძის შვილობის გამოც. ამდენად, მისი უნივერსიტეტიდან დათხოვნაც ყოველგვარი განმარტების გარეშე იმ პერიოდში გასაკვირი არ იყო. თუმცა სამართალმა პური ჭამა და პოლიტიკური კონიუნქტურისგან გათავისუფლებულ უნივერსიტეტში ირაკლიმ კვლავ სცადა კონკურსში მონაწილეობის მიღება. დღეს ირაკლი კობახიძე უკვე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია და ჩვენს რუბრიკაში საკუთარ ოჯახურ ტრადიციებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

— რა განსხვავება იყო 2011 და 2014 წლის საკონკურსო კომისიის შემადგენლობებს შორის და შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ პირველი კომისიის გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივზე, რომელიც თქვენი და მამათქვენის — გიორგი კობახიძის პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდებოდა?

— შეიძლება ასეც ითქვას. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მამაჩემი ასოცირდებოდა ოპოზიციურ მოძრაობასთან, წინა ხელისუფლებას კი, რბილად რომ ვთქვათ, ხისტი დამოკიდებულება ჰქონდა ოპოზიციური განწყობის მიმართ და, შესაძლოა, ამან გარკვეული გავლენა მოახდინა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც 2011 წელს თსუ-ის საკონკურსო კომისიამ მიიღო. ამავე დროს, იმ პერიოდში პირადად მეც ოპონირებას ვუწევდი ხელისუფლების მიერ ინიცირებულ სამართლებრივ ცვლილებებს. განსაკუთრებული აქტიურობით გამოვირჩეოდი 2010 წელს, როდესაც ძირეული შესწორებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში. მიმაჩნდა, რომ ეს ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებთან. თუმცა, ჩემი ოპონირება იყო წმინდა სამართლებრივი ხასიათის, პოლიტიკაში არასოდეს ვყოფილვარ უშუალოდ ჩართული, პირიქით, აკადემიურ ანალიზს ვთავაზობდი ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ ესეც იყო მიზეზი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა.

— არ დაუზუსტებიათ, რატომ არ შეგარჩიეს უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად?

— ოფიციალურად პასუხი არ მიმიღია, თუმცა, ხმები მომდიოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გარკვეული განცხადებების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ არ სურდათ ოპოზიციური განწყობის ხალხი იურიდიულ ფაკულტეტზე. ის თანამდებობა, რომლის დაკავებასაც ვცდილობდი, ვაკანტური დარჩა. ასე მოხდა როგორც კონსტიტუციური სამართლის, ისე საერთაშორისო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კვალიფიციურობის მიუხედავად, ბევრ კანდიდატს სწორედ პოლიტიკური მოტივით ეთქვა უარი.

— წელს კვლავ შემოიტანეთ განაცხადი ამ თანამდებობის დასაკავებლად. იგივე კომისია დაგხვდათ?

— წელს შეიცვალა როგორც კომისიის შემადგენლობა, ისე მისი დაკომპლექტების პრინციპი: 2011 წლის აშკარად იგრძნობოდა პოლიტიკური გავლენა კომისიაზე და ეს პირდაპირ იყო გამოხატული, რადგან მისი შემადგენლობის უმრავლესობას სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები და ინტერესთა კონფლიქტში მყოფი მოხელეები წარმოადგენდნენ: კომისიაში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ასევე, რამდენიმე მოსამართლე, რაც ცალკე პრობლემას ქმნიდა, რადგან, თუკი კომისიის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყავი, გიხდებოდა ისევ სასამართლოსთვის მიგემართა, შესაბამისად, გასაჩივრება დიდ წილად აზრს კარგავდა.

წლევანდელი კომისია კი მთლიანად აკადემიური პერსონალით იყო წარმოდგენილი, რაც მისასალმებელია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური კონკურსების ჩატარებისას ეს პრინციპი დამკვიდრდეს უნივერსიტეტში და საკონკურსო კომისიები პოლიტიკური კადრებისგან გათავისუფლდეს.

— დღეს უკვე თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ხართ. რის გაკეთებას გეგმავთ როგორც პედაგოგი და როგორც მკვლევარი?

— გარდა იმისა, რომ თსუ-ში დაბრუნებამდე კავკასიის უნივერსიტეტში ვასწავლიდი, 2006 წლიდან 2014 წლის ზაფხულამდე გაეროს განვითარების პროგრამაში ვმუშაობდი რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პროექტების მენეჯერად. ეს პოზიცია დავტოვე, რადგან მინდოდა სრულ განაკვეთზე მემუშავა თსუ-ში. ძირითადი საგნები, რომლებსაც ვკითხულობ, ადამიანის უფლებები და სახელმწიფო მოწყობის, იგივე კონსტიტუციური სამართალია. მაქვს არჩევითი საგნებიც – მუნიციპალური სამართალი და პოლიტიკური პარტიების სამართალი.

ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სახელმძღვანელოების მომზადებაა. კონსტიტუციური სამართლის ერთი სახელმძღვანელო ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილთან ერთად უკვე მომზადებული მაქვს. მეორე, პოლიტიკური პარტიების სამართლის სახელმძღვანელო, რუსთაველის ფონდის დაფინანსებით გამოიცა 2007 წელს. ახლა დაგეგმილი მაქვს ორი სახელმძღვანელოს მომზადება ძირითად საგნებში – კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებებში, რომელთა საფუძველზეც სტუდენტები სიღრმისეულ ცოდნას დაეუფლებიან კონსტიტუციური სამართლის შესახებ. დღემდე არსებული სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს, რადგან არსებითად კომპილაციას წარმოადგენენ იმ სამართლებრივი აქტებისა, რომლებიც მოქმედებს ამ სფეროში. ჩემი მიზანია, ახალ სახელმძღვანელოებში მაქსიმალური აქცენტი გაკეთდეს დოქტრინაზე, თეორიულ საფუძვლებზე, ასევე, ეს სახელმძღვანელოები უნდა შეიცავდეს კაზუსებს, რადგან სტუდენტებმა პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოიმუშავონ და კრიტიკული აზროვნების უნარიც განივითარონ.

— რატომ აირჩიეთ აკადემიური საქმიანობის სფერო და რამდენად განაპირობა ოჯახურმა ტრადიციამ თქვენი არჩევანი?

— ზოგადად, ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის და ამან ჩემზეც იქონია გავლენა. ჩემი ოჯახის არა ერთი წევრი საქმიანობდა აკადემიურ სფეროში. ბაბუაჩემი, მალხაზ ზაალიშვილი, აკადემიკოსი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი იყო; ბებია – შურა გველესიანი, ათ წელზე მეტ ხანს, თსუ-ში საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. მამაც, გია კობახიძე, სანამ პოლიტიკაში წავიდოდა, ფიზიკოსი იყო და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ზოგადად, ოჯახისთვის არ იყო უცხო აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ განსაკუთრებული ინტერესი მქონდა ამ სფეროს მიმართ. რაც შეეხება პოლიტიკას, მამაჩემი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აქტიურად იყო ჩართული ჯერ დისიდენტურ მოძრაობაში და შემდეგ ოფიციალურ პოლიტიკაში, რამაც, ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა ჩემი პოლიტიკური და კონსტიტუციური სამართლის საკითხებით დაინტერესებაში.

— პრაქტიკაში ვხედავთ, რომ საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში – 1995 წლიდან დღემდე, რამდენჯერმე გადაკეთდა ქვეყნის კონსტიტუცია და ჯერაც ვერ მიიღო ისეთი სახე, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. რამდენად მნიშვნელოვანია ამ მხრივ კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი პოლიტიკურ პროცესში ჩართვა?

— ზოგადად, შემიძლია ვთქვა, რომ კონსტიტუციური სამართლის სფეროში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ თუ ამ სფეროში უცხო ენებს არ ფლობ და არ მუშაობ უცხოენოვანი ლიტერატურით, ძალიან ძნელია პროფესიულად განვითარდე. ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარჩინებულ სტუდენტად ვითვლებოდი და ჩემს მიმართულებაში ვკითხულობდი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, მხოლოდ მას შემდეგ გავიგე კონსტიტუციური სამართლის არსი, რაც გერმანიაში წავედი. საქართველოში არსებული რესურსი სრულფასოვანი ცოდნის მიღების და შემდგომი აკადემიური განვითარების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა.

სხვა საკითხია, რამდენად არიან ჩართულნი კონსტიტუციის მომზადებაში სპეციალისტები. როდესაც 1995 წლის კონსტიტუციაზე მუშაობდნენ, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც იყვნენ შეყვანილი და, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხობრივად 1995 წლის კონსტიტუცია ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე 2004 ან 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები. 1995 წლის კონსტიტუციის პრობლემა საპრეზიდენტო მმართველობა იყო, რომელიც მახინჯი ფორმით დამკვიდრდა ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური მოდელი შეესაბამებოდა საპრეზიდენტო მმართველობის ზოგად ლოგიკას, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ სივრცეში. კონსტიტუციის ტექსტს თუ შევადარებთ, 1995 წლის კონსტიტუცია, არსებითად იყო შესაბამისობაში კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

რაც შეეხება 2004 წლის ცვლილებებს, მაშინ არც კომისია შექმნილა და, რამდენადაც ვიცი, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც არ იყვნენ პროცესში ჩართულნი. 2004 წელს მიღებული ცვლილებები სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციური სამართლის პრინციპებთან, უამრავი ხარვეზი იყო კონსტიტუციაში, მათ შორის, სტილისტურ-გრამატიკული და ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ეს დოკუმენტი ნაკლებად კვალიფიციური ხალხის მიერ მომზადდა. თუმცა, მთავარი მაინც პოლიტიკური ნება გახლდათ, რაც ხელისუფლებას არადემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისკენ უბიძგებდა.

— რამდენად შეიძლება იმის თქმა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო ისიც, რომ აკადემიური წრეები საერთოდ ჩამოეცილებინათ სახელმწიფოს მართვის სადავეებიდან?

— მაქვს ინფორმაცია, რომ 2004 წელს, როდესაც გააქტიურდნენ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და შეეცადნენ — წმინდა სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები გამოეთქვათ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ სხვადასხვა სახის პრობლემები შეექმნათ ხელისუფლების მხრიდან.

რაც შეეხება 2010 წლის ცვლილებებს, აქაც პოლიტიკური ნების პრობლემა იდგა. მართალია, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ აკადემიური წრეების წარმომადგენლები და, მათ შორის, მეც მივიღე შემოთავაზება კომისიის ხელმძღვანელობიდან, მაგრამ პრინციპულად ვთქვი უარი, რადგან წინასწარ მქონდა განჭვრეტილი შედეგი, რომლითაც დასრულებოდა ეს პროცესი. ამდენად, საკონსტიტუციო კომისიის გავლენა პროცესზე მინიმალური იყო.

— ანუ, მაშინაც არ გაუწიეს ანგარიში აკადემიური წრეების წარმომადგენლების მოსაზრებებს?

— ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ასე მოხდა. ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს კოლეგებთან ერთად მომზადებული ჰქონდა პროექტი, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით ბევრად უფრო გამართული იყო, ვიდრე შემდგომ მიღებული ვარიანტი, თუმცა საბოლოო დოკუმენტი მომზადდა არა აკადემიური წრეების წარმომადგენლების მიერ, არამედ ხელისუფლების წრეში, რაც ეტყობა კიდეც დოკუმენტს.

— კონსტიტუცია, რომელიც 2010 წელს მიიღეს და 2012 წლიდან შევიდა ძალაში, დღემდე მოქმედებს. რამდენად უშლის ხელს მისი გაუმართაობა ქვეყანაში სრულფასოვან პოლიტიკურ პროცესს?

— 2010 წლის კონსტიტუციის ტექსტი ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს დაბალანსებას ხელისუფლების შტოებს შორის. მთლიანობაში, საკონსტიტუციო ცვლილებები იყო არადემოკრატიული როგორც 2004 წელს, ისე 2010 წელს. ორივე შემთხვევაში ვენეციის კომისიამ ნეგატიური დასკვნა დადო, თუმცა, ვიცით, რომ სათანადო ყურადღება არ მიექცა ამ შენიშვნებს.

ამჟამად შექმნილია სახელმწიფო-საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მუშაობს ცვლილებებზე. თუმცა, კონსტიტუციის გადასინჯვა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, მათ შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ სამ მეოთხედამდე გაიზარდა კვორუმი, რომელიც საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად და, სავარაუდოდ, ძალიან გართულდება პარლამენტში კონსესუსის მიღწევა და არსებული უმრავლესობით ცვლილებების გატანა.

— დამოუკიდებელ საქართველოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ ნებისმიერ მმართველ ძალას შეუძლია თავის შეხედულებისამებრ ცვალოს კონსტიტუცია. ამას რა შეიძლება ეშველოს და რაში ხედავთ მისი გამოსწორების შესაძლებლობას?

— ეს არის უარყოფითი პრაქტიკა და პირდაპირ ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს: ჩვენ თუ არ გვაქვს სტაბილური კონსტიტუცია, შეუძლებელია ჩამოვაყალიბოთ სამართლებრივი სახელმწიფო და სტაბილური პოლიტიკური გარემო. საქართველოში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სტაბილური პოლიტიკური და პარტიული სისტემა და ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი სწორედ კონსტიტუციის ხშირი ცვლილებაა.

ამ თვალსაზრისით, 3/4 კვორუმის შემოტანა შეიძლება დადებითად შეფასებულიყო, თუმცა, რამდენადაც დღეს არსებული კონსტიტუცია არადემოკრატიულია, 3/4 კვორუმი ამ დოკუმენტის გაყინვას იწვევს. კონსტიტუციის სტაბილურობის უზრუნველყოფა კი მხოლოდ მას შემდეგ არის მიზანშეწონილი, როცა იგი შესაბამისობაში მოვა დემოკრატიულ სტანდარტებთან. შეიძლება ითქვას, რომ 2010 წელს კონსტიტუციაში შევიდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც იმ დროინდელ მმართველ ძალას დიდი ხნით შეუნარჩუნებდა ძალაუფლებას, 3/4 კვორუმის შემოტანით კი ასეთი კონსტიტუციის „გაყინვა" გადაწყვიტეს.

— ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში თქვენ უნივერსიტეტში ასწავლით კონსტიტუციურ სამართალს. საინტერესოა, რამდენად არიან სტუდენტები დაინტერესებულნი სამართლის ამ სფეროს შესწავლით?

— დასაქმების პერსპექტივიდან გამომდინარე, მართალია, ის რაოდენობა არ არის, რამდენიც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებაზე, მაგრამ საკმაოდ დიდია იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებსაც კონსტიტუციური სამართლის შესწავლა სურთ. თსუ-ში ამ კუთხით კარგი მდგომარეობაა. მთავარია, რომ უნივერსიტეტმა მუდმივად განივითაროს საკუთარი რესურსი, რათა შეძლოს ამ სტუდენტებისთვის სათანადო ცოდნის მიწოდება და მათი უნარ-ჩვევების განვითარება.

მოამზადა **ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ევროპული ღირებულებები და იდენტობა

„ჩვენს რეალობაში არც თუ იშვიათია ევროპისა და მისი ღირებულებების შესახებ მცდარი ინფორმაციის და დამახინჯებული ფაქტების გავრცელება, რაც ფსევდო-განათლებისა თუ წანაკითხის გაუაზრებელი აღქმის და, ამასთანავე, მეზობელი სახელმწიფოს აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის შედეგია. ამ მიზნით იქმნება რუსეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, იბეჭდება შეკვეთილი სტატიები, სადაც ავტორები ირწმუნებიან, რომ ევროპასთან დაახლოება საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, კულტურას, რომ ევროპა — „ეს არის გარყვნილება, ნარკოტიკები“. ყოველივე ამის გამო ზოგჯერ იდევნებიან განსხვავებული რელიგიის და სექსუალური ორიენტაციის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები... არც თუ ისე იშვიათია ჰომოფობიის და ქსენოფობიის გამოვლინებები. დავიწყებას ეძლევა ისეთი ქართული ტრადიციები და ღირებულებები, როგორიცაა ტოლერანტობა, რისი დადასტურებაცაა თუნდაც მეჩეთის სინაგოგას და ქრისტიანული ეკლესიის თანაარსებობა ჩვენს დედაქალაქში, ან კიდევ საუკუნეების მანძილზე ებრაელებთან ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრება“, — ეს სიტყვები ეკუთვნის თსუ-ის პროფესორს ნანა გუნცაძეს, რომელმაც ევროპული ღირებულებების გათავისების მიზნით, ევროინტეგრაციის ახალ საფეხურზე შემდგარი ქვეყნის მოქალაქეებს — ქართულ საზოგადოებას დასამახსოვრებელი კონფერენცია მიუძღვნა. სწორედ ნანა გუნცაძე გახლდათ ორგანიზატორის იმ კონფერენციისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფრენციის სახელწოდება გახლდათ „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. ამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ვრცლად მიმოიხილავს კონფერენციის მასალებს.

„როდესაც ამ კონფერენციის გამართვა განვიზრახეთ, მაშინ ჯერ კიდევ არაფერი იყო ცნობილი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თარიღთან დაკავშირებით, მაგრამ მსოფლიოში მოვლენები ისეთი დაჩქარებული ტემპით განვითარდა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერამ რეალური სახე მიიღო, თარიღიც დაზუსტდა და ჩვენი კონფერენციის ჩატარებიდან რამდენიმე დღეში საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ორიენტაციის მკაფიოდ გამოკვეთის და პოლიტიკური და კულტურული არჩევანის გაკეთების გზაჯვარედინზეა. ამიტომ დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე, ისევე, როგორც თავის დროზე ევროპელების წინაშე, გაჩნდა კითხვები: რა არის ევროპა: გეოგრაფიული სივრცე თუ ცივილიზაციის მოდელი? ეკონომიკური მანქანა თუ პოლიტიკური პროექტი? ახალი ისტორიული რეალობა თუ ფილოსოფიური მიმდინარეობა? როგორ შეიქმნა ერთმანეთისგან განსხვავებული ერებისგან ევროპული იდენტობა და რა შეიძლება ითქვას ამ ერთიანობის მრავალსახოვანი არსის შესახებ? არის თუ არა იმის გარანტია, რომ ევროკავშირში გაერთიანებული საქართველო არ დაკარგავს საკუთარ იდენტობას, რომელსაც უძველესი ქართული კულტურული ტრადიციები უდევს საფუძვლად? რა უნივერსალური ღირებულებების მატარებელია ევროპა და როგორ შეიძლება ამ ღირებულებების განხილვა ეროვნული იდენტობის კონტექსტში?

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ევროპული არჩევანის საბოლოოდ გაკეთების შემთხვევაში, ჩვენმა საზოგადოებამ, ყოველ შემთხვევაში მისმა პოლიტიკურმა და კულტურულმა ელიტამ, თვალი გაუსწოროს დღევანდელ გლობალურ პრობლემებს და საკუთარი პრობლემებიც ამ პრობლემების ჭრილში განიხილოს.

ამ კითხვებთან დაკავშირებული როგორც გლობალური, ასევე ლოკალური პრობლემები, ცხადია, ერთი დისციპლინის ფარგლებში ვერ მოთავსდება და მათი გადაწყვეტა ითხოვს სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტების შეხვედრებს, დიალოგს და ურთიერთთანამშრომლობას, რაც უთუოდ ინტერდისციპლინარული კონფერენციების პრეროგატივაა. რაკი ჩვენს საუნივერსიტეტო და ინტელექტუალურ წრეებში და, ზოგადად, საზოგადოებაში ამ საკითხების ირგვლივ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა, ამდენად კონფერენციის მონაწილეებს, სხვადასხვა დარგის მკვლევარებს მათი დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში მოუხდათ ამ კითხვებზე ურთიერთგანსხვავებული პასუხების გაცემა, ერთმანეთთან დიალოგში შესვლა და დებატების გამართვა, რამაც ჩვენს კონფერენციას მისცა ინტერდისციპლინარული ხასიათი“, — აღნიშნავს კონფერენციის ორგანიზატორი, პროფესორი ნანა გუნცაძე.

კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ საზეიმო გახსნაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში რენო სალენსმა, ასევე, ღონისძიების ორგანიზატორებმა: საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტმა ოთარ ზურაბიშვილმა და თსუ-ის პროფესორმა ნანა გუნცაძემ, რომელთაც ისაუბრეს კონფერენციის სამეცნიერო პრობლემატიკის შესახებ.

ფსევდო-განათლების ინტელექტუალური პარადოქსები

ზოგად-ევროპული ღირებულებების დამკვიდრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილოსოფიის და ლიტერატურის როლი. როგორც ცნობილია, ევროპის ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ღირებულებებს განმანათლებლობის ეპოქის ლიტერატურაში და ფილოსოფიაში ეყრება საფუძველი. ამ პერიოდში დაიწყო ბრძოლა რელიგიური ფანატიზმის და ცრურწმენების წინააღმდეგ. მე-18 საუკუნის მწერლები არიან რეფორმატორი ფილოსოფოსები, რომლებმაც უკუაგდეს დოგმატიზმი და საღ აზრს გამოუცხადეს ნდობა. განმანათლებლები იცავდნენ თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობის, პროგრესის იდეებს, რაც სწორედ საზოგადოების სიბნელიდან გამოყვანას და ადამიანის ღირსების პატივისცემას გულისხმობდა. განმანათლებლები ცდილობენ საზოგადოების შეცვლას.

სამწუხაროდ გაუკუღმართებული ისტორიული მოვლენების გამო, ის, რაც ევროპაში, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთში მე-18 საუკუნის ბოლოს დაიწყო, ჩვენთან დღეს დგას დღის წესრიგში. აქედან გამომდინარე, კონფერენციის მიზნები უკავშირდებოდა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისთვის სტერეოტიპებთან, დოგმებთან ბრძოლას საქართველოში და ტაბუს მოხსნის მნიშვნელობას, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებასა და ფსევდო-განათლებას შორის არსებული საზღვრების და კრიტერიუმების დადგენას. განათლებას ფასი აქვს მაშინ, თუ არსებობს მასზე სოციალური მოთხოვნა და მიმღებთა მხრიდან განათლების აუცილებლობის გაცნობიერება. ნამდვილი განათლება ფსევდო-განათლებისაგან განსხვავებით (როგორც ეს ვოლტერის ეპოქის საფრანგეთში მოხდა) ეხმარება ადამიანებს რეალური ცხოვრების კითხვებზე პასუხების პოვნაში. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა დღევანდელი ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორის, ზურაბ გურულის მოხსენება — „ფსევდო-განათლების ინტელექტუალური პარადოქსები“. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ამ საკითხებთან დაკავშირებული ეპისტემოლოგიური კვლევის შედეგები, გაანალიზებული იყო ფსევდო-განათლებისთვის დამახასიათებელი ნაკითხულის პასიური რეგურგიტაციის შედეგები. მოხსენებაში ხაზგასმული იყო კომუნისტური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი, იდეოლოგიური ტერორიზმით დამახინჯებული პოსტსაბჭოთა საზოგადოების, ევროპულ საზოგადოებრივ კრიტერიუმებთან მიახლოების სირთულე, რაც, მომხსენებლის აზრით, ყოველგვარი სიახლის, განსხვავებულის მიმართ შიშს უკავშირდება, ანუ შიშს, რომელსაც მოჰყვება აკრძალვები, რამაც ჩვენს საზოგადოებაში უკიდურესად მახინჯი ფორმები მიიღო, რადგან ე.წ . „გარყვნილი დასავლეთის“ მიმართ გაუცნობიერებელ შიშს ასეთმა იდეოლოგიამ პოსტსაბჭოთა საზოგადოებაშიც ნოყიერი ნიადაგი დაუტოვა. აქედან გამოსავალი კი საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარებაა, რაც მიიღწევა თავისუფალი აზროვნების განვითარებით.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მისია, რომელზე მსჯელობასაც დიდი ადგილი დაუთმო პროფესორმა ზ. გურულმა, მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ნამდვილი განათლება, რომელიც კითხვასთან ერთად წაკითხულის აღქმის და მისი გონივრული ინტერპრეტაციის შედეგად აღიარებულ დოგმებთან შემოქმედებითი მიდგომის, ტაბუ დადებულ თემებზე თამამი მსჯელობის და, შესაბამისად, ყოველგვარი ტაბუს მოხსნის შესაძლებლობას იძლევა.

„რაკი ამა თუ იმ საკითხზე დადებული ტაბუ აპრიორი ყოველგვარ მსჯელობას გამორიცხავს საზოგადოებისათვის, სადაც ფსევდო-განათლება დომინირებს, ტაბუ დადებული საკითხი გაუცნობიერებელი რჩება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ასეთი საკითხები მსჯელობისთვის კონფერენციაზე გამოგვეტანა“, — აღნიშნა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა ნანა გუნცაძემ. ამ თვალსაზრისით საპაექროდ წარმოადგინეს საფრანგეთ-საქართველოს თანამეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ბრუნო ნარდენის მოხსენება — „ფრანკ-მასონები და განმანათლებლობის ეპოქა“. როგორც მოგეხსენებათ, ეს თემა ქართულ საზოგადოებაში მხოლოდ ნეგატიურ ასოციაციებს იწვევდა და იწვევს და ერთ-ერთი იმ ტაბუირებულ საკითხთაგანია, რომელთან დაკავშირებითაც სწორედ ფსევდოგანათლებული წრეების წარმომადგენლების მხრიდან ვრცელდება ლეგენდები და მითები. ბრუნო ნარდენმა კი თავის მოხსენებაში ისაუბრა ფრანკ-მასონობაზე, როგორც მე-18 საუკუნის ევროპის რაციონალური აზროვნების განსახიერებაზე და მასონურ იდეებზე, რომელიც საფუძვლად უდევს განმანათლებლურ იდეებს და მათთან დაკავშირებულ ევროპის ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ღირებულებებს: თავისუფლებას, თანასწორობას, ადამიანის უფლებებს. რაც შეეხება ამ მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნეგატიურ აზრებს, მას, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, იკვლევს მასონური ფაქტების ისტორიოგრაფია, რომელიც, როგორც ბრუნო ნარდენმა განაცხადა, სულ ახალი დარგია. ეს მოხსენება საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც გაიმართა მსჯელობა ერთერთ ტაბუირებულ საკითხზე: საზოგადოებამ ფრანგი მკვლევარისგან მიიღო ინფორმაცია, რომელიც ფრანკ-მასონობის წარმოშობას და მე-18, მე-19 საუკუნეების ევროპაში მუსიკისა და მწერლობის ელიტარულ წრეებში მის გავრცელებას ეხებოდა. საუბარი შეეხო აღნიშნულ პერიოდში ამ იდეების გავრცელების პოზიტიურ შედეგებსაც. „სამწუხაროდ, აღნიშნული მოხსენების შემდგომ, ამ თემასთან დაკავშირებით კონფერენციაზე მწვავე დებატები არ შედგა, რაც, ალბათ, მოხსენების ფრანგულ ენაზე წაკითხვით და იმ მომენტში დარბაზში ამ საკითხით დაინტერესებულ მსმენელთა სიმცირით შეიძლება აიხსნას“, — აღნიშნა ნანა გუნცაძემ.

ევროპის ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ღირებულებებს ეხებოდა კონფერენციაზე ზ. ანდრონიკაშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენება, სადაც ავტორი მსჯელობდა თავისუფლების ცნების და მისი თავისებური ინტერპრეტაციის როლზე პოსტტოტალიტარულ საზოგადოებაში, ასევე, ტოტალიტარიზმის ეპოქის მითებზე, სტერეოტიპებზე, ლიდერის კონცეპტზე. ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის კვლევის შედეგები წარმოადგინა კონსტანტინე ბრეგაძემ თავის მოხსენებაში — „ქართული მოდერნიზმი, როგორც ოქციდენტოცენტრიზმი“, სადაც მომხსენებელი მსჯელობდა ქართველი მოდერნისტების მისიის მნიშვნელობაზე საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის მკაფიოდ გამოკვეთასა და მათი ევროპული არჩევანის გაკეთებაში. ასეთი კვლევები დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან თვალსაჩინოს ხდის კულტურულად და ინტელექტუალურად ქართული მწერლობის და, ზოგადად, ქართული ხელოვნების როლს ევროპასთან დაახლოებაში და საქართველოში ევროპული მისწრაფებების გაძლიერებაში.

ეროვნული ტრადიციები და ევროპული ღირებულებები

ის, რომ ქართული იდენტობა ტრადიციულად საკმაოდ ახლოს იყო ევროპულთან, ჩანს კონფერენციაზე წარმოდგენილ ისეთ მოხსენებებში, როგორიცაა: როზეტა გუჯეჯიანის „ქართული ჩვეულებითი სამართალი ევროპული ღირებულებების კონტექსტში“, როლანდ თოფჩიშვილის „ევროპული ღირებულებების და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა“, აკაკი ჩიქობავას „ფეოდალიზმი, მხოლობითი თუ მრავლობითი“ და სხვ. ამ მოხსენებებში იკვეთება საქართველოს ევროპული ორიენტაცია, რომელიც, ზოგიერთი მათგანის აზრით, ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდიდან დასტურდება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მკვლევარის — აკაკი ჩიქობავას მოსაზრება ქართული პატრონყმობის და ფრანგული ფეოდალიზმის იდენტობის შესახებ. ის, რომ საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესი ყველა იმ ნიშნის მიხედვით მიმდინარეობდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, უთუოდ მნიშვნელოვანი პოსტულატია და იმედია, აკაკი ჩიქობავა ამ დარგის მკვლევარებთან ერთად განაგრძობს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობას და კონკრეტული ფაქტების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მეცნიერულად დაადასტურებს თავის მოსაზრებას, რაც დაგვეხმარება იმ აზრის გამყარებაში, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორეული შუა საუკუნეებიდან ევროპული მოდელით და, შესაბამისად, ფეოდალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი უნივერსალური ღირებულებებით ცხოვრობდა. თუ კი მსჯელობის ამ ხაზს გავყვებით, როზეტა გუჯეჯიანის მიერ ქართული ჩვეულებითი სამართალის ევროპული ღირებულებების კონტექსტში განხილვა, ისევე როგორც შუა საუკუნეების ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის სიახლოვე რომაულ თუ ბიზანტიულ სამართალთან, ჩვეულებითი სამართლის წარმოდგენა სახელმწიფო და საეკლესიო სამართლის კორელაციის პროდუქტად, მისი ჰუმანური ხასიათი და პარალელები ევროპულ სამართალთან, კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ქართული ტრადიციების და ღირებულებების სიახლოვეს ევროპის ტრადიციებთან და ღირებულებებთან.

ევროპული ღირებულებების და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემას ეხებოდა, აგრეთვე, როლანდ თოფჩიშვილის ეპისტემოლოგიური კვლევა, რომელიც ეყრდნობოდა ისტორიულ-შედარებით და ქართულ ეთნოლოგიაში გავრცელებულ კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდებს. როლანდ თოფჩიშვილის აზრით, მთლიანად ევროპულ ღირებულებებზე გადასვლას საზოგადოებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა დანერგვა და საშუალო ფენის ჩამოყალიბება შეუწყობს ხელს, რაც შესაძლებელს გახდის ტრადიციების შენარჩუნებით საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესის დასრულებას.

„ძალზე საინტერესო და ამავე დროს საკამათო იყო იდენტობის თვალსაზრისით ორი, რადიკალურად განსხვავებული რეალობის შესახებ მსჯელობა პროფესორ ცირა ბარამიძის მოხსენებაში, რომელმაც, მართალია კავკასიის დღევანდელი რეალობა სრულიად მართებულად რუსული ექსპანსიის პროდუქტად და ევროპული სამოქალაქო იდენტობის ანტიპოდად წარმოადგინა, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა არა მარტო დაესახელებინა ის ღირებულებები, რომელსაც იზიარებდნენ კავკასიელები რუსეთის მიერ მის ძალადობრივ ანექსიამდე, არამედ დამადასტურებელი ფაქტების ეპისტემოლოგიური კვლევის შედეგებით გაემყარებინა ამ საკითხზე თავისი მსჯელობები. ასეთ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი იქნებოდა კავკასიური იდენტობის დარღვეული მთლიანობის შესაძლებელ რესტავრაციაზე, საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისა და კავკასიის მოდერნიზაციის თუნდაც შორეულ პერსპექტივაზე საუბარი. მოხსენებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და მწვავე, თუმცა ძალზე საინტერესო დებატები“, — აღნიშნა ნანა გუნცაძემ.

ევროკავშირი, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები

ერთმანეთისგან განსხვავებული ერებისაგან ევროპული იდენტობის შექმნას და ამ ერთიანობის მრავალსახოვანი არსის შესახებ მსჯელობას მიეძღვნა რენის უნივერსიტეტის პროფესორ სესილ ვესიეს მოხსენება „ფრანგულ-გერმანული შერიგება, ევროპული მნიშვნელობის ბაზა“. სესილ ვესიემ ევროპის ერთერთ მთავარ მიღწევად და ევროკავშირის შექმნის და მშენებლობის საფუძვლად ფრანგებისა და გერმანელების შერიგება მიიჩნია. მან

მე-9 გვერდზე

ევროპული ღირებულებები და იდენტობა

მერვე გვერდიდან

თავის მოხსენებაში ისაუბრა გერმანიის აგრესიაზე და იმ ძალადობაზე, რომელსაც იგი ათეული წლების მანძილზე ახორციელებდა მის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ტერიტორიებზე. შთამბეჭდავი იყო ვესიეს მსჯელობა პირველ და მეორე მსოფლიო ომებზე, რასაც შედეგად გერმანელების მხრიდან მილიონობით უდანაშაულო ადამიანის, მათ შორის, ბავშვების და ახალგაზრდების მსხვერპლი მოჰყვა; ასევე იმ არაადამიანურ ხოცვა-ჟლეტაზე, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პროგრესის რწმენა, რწმენა, რომელიც ევროპას განმანათლებლური ფილოსოფიიდან მოჰყვებოდა. ვესიემ გააანალიზა და შეაფასა დასავლური საზოგადოების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაცისტური დანაშაულის მთელი სისავსით შეგრძნება, რასაც დასავლეთის მხრიდან მოჰყვა დიდი ეთიკური მარცხის აღიარება.

ვესიეს შემდგომი მსჯელობა ეხებოდა 50-იან წლებში გერმანიისა და საფრანგეთის კულტურული დაახლოების პროცესს, რომელსაც წინ უძღოდა შერიგების სურვილი, ჩადენილი დანაშაულის თუნდაც გვიანი აღიარება, სხვადასხვა პროექტებში საზოგადოების მონაწილეობის სურვილი. შემდგომი წლების ფრანგულ-გერმანული ურთიერთობის ისტორია, მომხსენებლის აზრით, აჩვენებს, რომ შესაძლებელია იმ ქვეყნების შერიგება, რომლებიც ერთმანეთთან ომში იყვნენ. ამგვარად, მომხსენებელმა მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ანალოგიური გზით დაბალანსება შესაძლებელია. ვესიესთან და გალესთან დებატებში შესულმა ეკა ტყეშელაშვილმა არგუმენტირებულად ისაუბრა იმ მიზეზებზე, რის გამოც საქართველოსთვის ეს მოდელი, ჯერჯერობით, არ გამოდგება, ვინაიდან, ეკა ტყეშელაშვილის აზრით, გერმანიის და საფრანგეთის შერიგება, შესაძლოა, ყველა ერთმანეთთან დაპირისპირებული ქვეყნებისთვის კარგი მაგალითი იყოს, მაგრამ, პირველ რიგში, ეს შერიგება ორივე ქვეყანას უნდა უნდოდეს; რუსეთს კი ეს არ სურს. ეკა ტყეშელაშვილის თქმით, რუსეთი უგულებელყოფს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს. მას, როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის დამორჩილება სურს, რაც კარგად ჩანს ყირიმის ანექსიაში, საქართველოში მცოცავი ანექსიით თავისი აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებაში.

ჟილ გალემ, საფრანგეთის სამხედრო სკოლის პროფესორმა და სამხედრო ექსპერტმა გააანალიზა რა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები, ისტორიულ, კულტურულ და გეოპოლიტიკურ განზომილებებში საქართველოს ევროპული იდენტობით ახსნა ჩვენს ქვეყანაში დასავლეთთან თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნების და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელების სწრაფი ტემპი და შეუქცევადობა. რაც შეეხება დღეს უკრაინის და საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიასთან ევროკავშირის შედარებით სუსტ პოზიციას, ეს ჟილ გალემ ახსნა ევროკავშირის ეკონომიური და სტრატეგიული ინტერესებით და, ამასთან ერთად, იმ დიდი ხიფათით, რაც რუსეთის იზოლირებას შეიძლება მოჰყოლოდა. თავის მხრივ, ეკა ტყეშელაშვილმა ევროპის სუსტი პოზიციის მთავარ ფაქტორად მიიჩნია რუსეთის მხრიდან თანამიმდევრული პოლიტიკის გატარება, რასაც, ევროპის მხრიდან, ასეთივე თანამიმდევრული პოლიტიკური ხაზის გატარების ნაცვლად, ჯერჯერობით, მხოლოდ სიტუაციური რეაგირება მოჰყვება ხოლმე. ამ საკითხებზე გაიმართა ცხარე დებატები სხვადასხვა დარგის მკვლევარებს შორის, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის მხრიდან სახელმწიფო ტერორის განხორციელების, რუსული ბარბაროსობის და სისასტიკის შემდეგ, ევროპა სხვაგვარად უნდა იქცეოდეს: „როგორც ბჟეჟინსკიმ განაცხადა, ოლანდმა არ უნდა მიჰყიდოს მისტრალები რუსეთს, კემერონმა არ უნდა აქციოს ლონდონი რუსი ოლიგარქების „ლას-ვეგასად“! ეს ისეთივე შეცდომაა, როგორც თავის დროზე პოტენციურ პარტნიორებად იმათი აღქმა, ვინც შექმნა და მართა სადეპორტაციო და საკონცენტრაციო ბანაკები. ამდენად, ევროპას უნდა ახსოვდეს თავისი შეცდომა და მათ მიერ 50-იან წლებში ეთიკური მარცხის დაგვიანებული აღიარება“.

ადამიანური ღირსება და მისი დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტები

ცნობილია, რომ ადამიანური ღირსება არც იდეალია, არც მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიო, არამედ ეს არის პრინციპი. ღირსებას მიჰყავხარ არა მოცემულობასთან, არამედ ვალდებულებასთან, ე.ი. რაღაცა ისეთთან, რომელსაც იურისტები უწოდებენ იმას, რისი გადალახვაც არ შეიძლება. ღირსება, შესაძლოა, ასე განისაზღვროს: ეს არის ყოველი ადამიანის უნარი — საკუთარი თავი განსაზღვროს პრინციპების მიხედვით და სხვა ადამიანებს შესაბამისად მოექცეს. ღირსება — ესაა ადამიანის კაცობრიობისადმი მიკუთვნება. არსებობს ღირსების ტრადიციული გაგება და მოდერნული გაგება, რომელიც ეყრდნობა სტოიციზმს და ქრისტიანიზმს. ძველი ანუ ტრადიციული გაგებით, ღირსება — ეს არის სოციალური იერარქიის ფუნქცია, რომელიც ენიჭება რანგის მიხედვით. მათ, ვინც იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, გააჩნიათ განსაკუთრებული ღირსება, რომელიც შეესაბამება მათ განსაკუთრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას. მოდერნული გაგებით კი, ღირსება — ეს არის გრძნობა, რომელსაც იზიარებს ყველა ადამიანი, რომელიც ეკუთვნის კაცობრიობას. ეს არის ის, რაშიც ყველა ადამიანი უდავოდ თანაბარია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი იმსახურებს უპირობო პატივისცემას მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ფიზიკური თუ გონებრივი ჯანმრთელობისა, რელიგიისა, სოციალური და ეთნიკური კუთვნილებისა. ადამიანური ღირსების კონცეპტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში. „ღირსება, როგორც ჰუმანისტური ფილოსოფიის ფუნდამენტი“, „ღირსების დაცვა, როგორც სამართლიანი საზოგადოების ევროპული მოდელის და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის უცილობელი პირობა“, „ადამიანის ღირსება და სამართალი“, „ადამიანის უფლებების განვითარება და სამართლის ფილოსოფია“, „ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები“ — ამ საკითხებზე გაიმართა დებატები სამართლის დოქტორის მიხეილ ბიჭიას, სამართლის მაგისტრების: სერგი ჯორბენაძის და დიმიტრი გეგენავას მიერ წარმოდგენილი მოხსენებების შემდეგ. ადამიანის ღირსების დაცვის ერთერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიჩნეულია მისი სამოქალაქო სამართლებრივი კვლევა. აქ, უპირველეს ყოვლისა, აქტუალური გახლდათ მომხსენებლის მიხეილ ბიჭიას მიერ, სხვადასხვა თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ღირსების კერძოსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ღირსების საჯარო და კერძოსამართლებრივ ცნებებს შორის მიმართების დადგენა. მომხსენებელმა ევროპული და ქართული გამოცდილების საფუძველზე წარმოაჩინა, რომ ღირსების კონსტიტუციურ სამართლებრივი ცნების მოცულობა, რომელიც, ფაქტობრივად, მისი საჯაროსამართლებრივი ცნების გამოვლინებაა, გულისხმობს ადამიანის პიროვნების პატივისცემის თანდაყოლილ მოთხოვნას, ხოლო ღირსების კერძოსამართლებრივი ცნების მოცულობა გაცილებით ფართოა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ უფლების კერძოსამართლებრივი დაცვის ფორმებს. ეს პრობლემები განხილული იყო ღირსებასა და საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებას შორის მიმართების გამოკვეთის ჭრილში, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ზოგადი პიროვნული უფლების არსს. შესაბამისად, პიროვნების სრულყოფილად დაცვის მიზნით განისაზღვრა ღირსების ხელყოფისას დელიქტური სამართლით გათვალისწინებული წესების გათვალისწინების აუცილებლობა. მომხსენებელმა, ასევე, ევროპულ ტენდენციებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა ორიენტირებულია პიროვნული საწყისების უზრუნველყოფისკენ, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკომპენსაციო, სატისფაქციისა და პრევენციის ფუნქციების მიღწევას უნდა ეფუძნებოდეს. ამდენად, ზემოთ განხილული გარემოებების საფუძველზე განისაზღვრა სამოქალაქო სამართალში ღირსების დაცვის სპეციფიკა.

რაც შეეხება დიმიტრი გეგენავას, მან თავის მოხსენებაში წარმოადგინა ევროპული ღირებულებები, რომლებსაც ქართული კონსტიტუციონალიზმი ეყრდნობოდა და რომელსაც ახლაც ეფუძნება. მომხსენებელმა მოახდინა ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეების პრეზენტაცია და გამოკვეთა ამ ჭრილში ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის სიახლოვე, თუმცა ისაუბრა ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებზეც. ამასთან, მან წარმოაჩინა საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის როლი და მნიშვნელობა ევროპეიზაციის პროცესში, ასევე ხაზი გაუსვა მის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის საკითხს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, როგორც კერძო სამართლის ევროპეიზაციის ნიმუშს, ეხებოდა სერგი ჯორბენაძის მოხსენება, რომლის აზრითაც, სსკ-ის ევროპეიზაციაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს მასში და, ზოგადად, ქართულ სამართალში ბერძნულ-რომაული და ევროპული სამართლის გავლენა. პირველი მათგანის გათვალისწინება უხვად გვხვდება ქართული სამართლის ძეგლებში. ამასთან, 1997 წელს სსკ-ის მიღებით მოხდა ქართული სამართლის ისტორიულ ძეგლებში მოწესრიგებული სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ევროპული გამოცდილების ერთგვარი შერწყმა. განისაზღვრა, რომ ევროპული რეცეფციის მაგალითს წარმოადგენდა კერძო ავტონომიის პრინციპის გათვალისწინება, რაც, განსაკუთრებით, საკუთრების უფლებაში აისახა. მომხსენებლის აზრით, ევროპული გამოცდილება იქნა გაზიარებული და ქართულ ზნეობრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოვიდა სანივთო სამართლის ცალკეული ასპექტები. აქვე სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ინსტიტუტის ანალიზის ფონზე ხაზგასმული იყო სსკ-ში ევროპული სამართლის ტენდენციების ასახვა გარკვეული თავისებურებებითურთ.

მოხსენებების შემდეგ გამართული დებატები შეეხო ღირსების კერძოსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბებას და სამოქალაქო სამართალში ღირსების დაცვის სპეციფიკის განსაზღვრას; საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის საკითხს. დებატები შეეხო, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, როგორც კერძო სამართლის ევროპეიზაციის ნიმუშის, ზოგიერთი ასპექტის ქართულ ზნეობრივ ნორმებთან შესაბამისობას, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ისეთი ევროპული ღირებულებები, როგორიცაა: ადამიანის ღირსების პატივისცემა, კანონიერებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა, დაცვა ადამიანის უფლებებისა, რომლებსაც ეფუძნება ქართული კონსტიტუციონალიზმი და ახლად შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტები, გარკვეულწილად, არის ევროპული და ქართული იდენტობის ნაზავი. დებატებში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ, მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, ეს ის საკითხებია, რაზეც უნდა გაგრძელდეს მუშაობა, რათა უმტკივნეულოდ მოხდეს ევროპულ-ქართული ღირებულებების დაახლოება და ამის საფუძველზე ევროპული მოდელის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

ევროპული ღირებულებების როლი ეკონომიკის განვითარებაში

ევროპულ ღირებულებებზე და ეროვნულ იდენტობაზე თეორიული მსჯელობა და დებატები გაგრძელდა ეკონომიკის მკვლევარებს შორის. ამ დარგის სპეციალისტებმა წარმოაჩინეს ევროპული ღირებულებების მნიშვნელობა დისციპლინის ზოგად ჩარჩოში და გაგვაცნეს თავისი კვლევის შედეგები.

ევროპული მოდელის საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროპული ღირებულებების გათვალისწინება ეკონომიკის განვითარებაში. ამდენად, ეკონომიკის დარგში თსუ-ის პროფესორების: ირინა გოგორიშვილის, რამაზ ფუტკარაძის, ეკა ლეკიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები ისეთ უაღრესად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა: „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროპული ღირებულებები“, „ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომი პერსპექტივები და ამ გზაზე ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები“, „რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის ევროპული ღირებულებების მნიშვნელობა“.

რამაზ ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ადამიანის ღირსების პატივისცემის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და, ზოგადად, ევროპული ფასეულობების დაცვის შედეგადაა მიჩნეული ევროპის ქვეყნების ძლიერი ეკონომიკა, მისი მაღალი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

„ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების გარანტი“ — ეს გახლდათ ეკა ლეკიშვილის მოხსენების ძირითადი თემა, რომელიც ეფუძნებოდა ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხების კვლევას ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ.

ევროპული ღირებულებების პრობლემატიკა, როგორც ინტერდისციპლინარულობის უმთავრესი მიზანი

ნანა გუნცაძე,
კონფერენციის ორგანიზატორი, პროფესორი:

— იდენტობისა და ღირებულებების საკითხები ძალიან აქტუალურია და, შესაბამისად, ბევრი რამ საკამათოცაა, რაც, როგორც ფილოლოგების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ასევე იურისტების, ეკონომისტების საქმეა. ჩვენს რეალობაში არც თუ იშვიათია ევროპისა და მისი ღირებულებების შესახებ მცდარი ინფორმაციის და დამახინჯებული ფაქტების გავრცელება, რაც ფსევდო-განათლებისა თუ წანაკითხის გაუაზრებელი აღქმის და, ამასთანავე, მეზობელი სახელმწიფოს აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის შედეგია. ამ მიზნით იქმნება რუსეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, იბეჭდება შეკვეთილი სტატიები, სადაც ავტორები ირწმუნებიან, რომ ევროპასთან დაახლოება საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, კულტურას, რომ ევროპა — „ეს არის გარყვნილება, ნარკოტიკები“. ყოველივე ამის გამო ზოგჯერ იდევნებიან განსხვავებული რელიგიის და სექსუალური ორიენტაციის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები... არც თუ ისე იშვიათია ჰომოფობიის და ქსენოფობიის გამოვლინებები. დავიწყებას ეძლევა ისეთი ქართული ტრადიციები და ღირებულებები, როგორიცაა ტოლერანტობა, რისი დადასტურებაცაა თუნდაც მეჩეთის სინაგოგას და ქრისტიანული ეკლესიის თანაარსებობა ჩვენს დედაქალაქში, ან კიდევ საუკუნეების მანძილზე ებრაელებთან ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრება.

კონფერენციაზე სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტებმა: ფილოსოფოსებმა, ეკონომისტებმა, იურისტებმა, ისტორიკოსებმა, პოლიტოლოგებმა, ფილოლოგებმა წარმოგვიდგინეს თავისი კვლევის შედეგები და მოსაზრებები ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანური ღირსება, ადამიანის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ევროპული ღირებულებების პრობლემატიკის მთლიანობაში განხილვა. ინტერდისციპლინარულობის უმთავრესი მიზანი სწორედ ამ განსხვავებული შეხედულებების იდენტიფიცირება და ინტეგრირებაა.

დემოკრატიის და მოდერნიზაციის გზაზე მდგარ ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზაციისთვის აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენილი მოხსენებები და მათ ირგვლივ გამართული დებატები მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საქართველოს ევროპული არჩევანის მიმართ საზოგადოების მხრიდან მკაფიო პოზიციის გამოკვეთას. ჩვენ ამით არ ვწყვეტთ მუშაობას. უნივერსიტეტის პროფესორებს, ზოგადად, ჩვენი საზოგადოების ინტელექტულურ ნაწილს მოვუწოდებთ შემოგვიერთდნენ, რათა განვაგრძოთ მსჯელობები და დებატები ევროპული ღირებულებების და საგარეო პოლიტიკური კურსის ევროატლანტიკური მიმართულების კუთხით, რათა შეუჩერებელი აქტივობით, მემორანდუმებით, სამეცნიერო სტატიებით, კონფერენციებით და ა.შ. მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ საქართველოსკენ; თვალსაჩინო გავხადოთ მისი წვლილი მსოფლიო უსაფრთხოებაში; კვლევებით დავადასტუროთ მისი მრავალსაუკუნოვანი ევროპული ორიენტაცია; მსოფლიოს გავაცნოთ მისი მდიდარი კულტურა.

დასასრულ დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ლადო პაპავას დიდი მხარდაჭერისთვის და მაქსიმალური ხელშეწყობისთვის, ასევე, პროფესორებს: ცირა ბარამიძეს, ნანა მაჭარაშვილს, გიორგი ლობჟანიძეს; მომხსენებლებს — უაღრესად საინტერესო მოხსენებებისთვის; ასისტენტებს ნინო რევაზიშვილს და ქეთევან ქუსიკაშვილს; კოორდინატორებს, დოქტორანტებს და სტუდენტებს იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომელიც მათ გასწიეს, რათა ეს კონფერენცია შემდგარიყო.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ რუსთაველის ფონდის როლი არა მარტო აღნიშნული პროექტის, არამედ საუნივერსიტეტო სივრცეში არა ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში და მადლობა გადავუხადოთ ფონდის წარმომადგენლებს ჩვენი პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

გლობალიზაცია და სტატისტიკა

სამოქალაქო საზოგადოებაში სტატისტიკა, ფაქტობრივად, სოციალური მენტორის როლს ასრულებს და სამართლის ვერდიქტი გამოაქვს ნებისმიერ მოვლენასა თუ პროცესზე, რომელიც რაოდენობრივ გაზომვას ექვემდებარება.

რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე პრესტიჟულ პროფესიათა შორის სტატისტიკამ მეექვსე ადგილი დაიკავა. ქვეყანაში, სადაც იურისტის, ექიმის, მსახიობისა თუ სპორტსმენის პროფესია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, მეექვსე ადგილი აშკარად მიუთითებს, თუ როგორ პატივს სცემს და აფასებს ამერიკული საზოგადოება სტატისტიკას.

თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, კარგად გამოჩნდა 23-24 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაცია და სტატისტიკა“, რომელიც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრის დაარსების 70-ე წლისთავის მიეძღვნა.

თამარ დადიანი

სტატისტიკის თეორიასა და მეთოდოლოგიაზე, ეკონომიკური, სოციალური და ბიზნეს-სტატისტიკის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ორი დღის განმავლობაში. კონფერენცია მიზნად ისახავდა ამ სფეროს როლის წარმოჩენას ქვეყნის განვითარების საქმეში და ასევე უცხოელი მეცნიერების გამოცდილების გაზიარებას. შემუშავდა პრაქტიკული წინადადებები, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტის — სტატისტიკის როლის გაზრდას, რომელიც ისეთივე საჭირო „მასალაა“ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, როგორც ჯარი, პოლიცია თუ საგადასახადო სამსახური.

კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ოთარ აბესაძე, „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი, თსუ-ის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, მიუნჰენის უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი შტეფან მიტნიკი, მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ოლეგ კარასევი, აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ნატიკ გურბანოვი და სხვა უცხოელი სტუმრები.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრას 70 წელი შეუსრულდა. სტატისტიკა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი სფერო, რადგან წარმოუდგენელია — იყო ეკონომისტი და არ იყო დაინტერესებული იმით, თუ რას გაძლევს სტატისტიკა და როგორ გამოიყენებ მას... ამიტომ ამ კათედრას ჩვენს უნივერსიტეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყველა სტატისტიკოსს ვულოცავ დღევანდელ დღეს და წარმატებებს ვუსურვებ“, — განაცხადა რექტორმა ლადო პაპავამ.

კონფერენცია ექვს თემატურ სექციად დაიყო: სტატისტიკის თეორია და მეთოდოლოგია; ეკონომიკური, სოციალური და ბიზნეს სტატისტიკა; ეკონომეტრიკა, მაკრო და მიკროეკონომიკა; შრომის ბაზარი და დემოგრაფია; თანამედროვე გლობალური და რეგიონალური ეკონომიკა; მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა და საბანკო საქმე.

პროფესორმა სიმონ გელაშვილმა პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანი გახლდათ სტატისტიკის მნიშვნელობის წარმოჩენა და უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მათთან საქმიანი კონტაქტების დამყარება და ურთიერთთანამშრომლობის შეთავაზება.

„მართალია, ოფიციალურ დოკუმენტებში წერია, რომ ჩვენი კათედრა 70 წლისაა, მაგრამ იგი უფრო „მოხუცია“ და 88 წელს ითვლის. დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ის მხოლოდ 1944 წელს ჩამოყალიბდა. ფაქტობრივად, კათედრა 1923 წელს დაარსდა და მისი ხელმძღვანელი საყოველთაოდ ცნობილი ქართველი მეცნიერი ფილიპე გოგიჩაიშვილი გახლდათ. კათედრა დღემდე წარმატებით აგრძელებს საქმიანობას და ამაში დიდი წვლილი მიუძღვნის კათედრის ხელმძღვანელებს, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ამ კათედრის წარმატებები“, — განაცხადა სიმონ გელაშვილმა.

პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ოლეგ კარასევი, მიუნჰენის უნივერსიტეტის სტატისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი შტეფან მიტნიკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ოთარ აბესაძე, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი და სხვები...

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს გერმანელმა, უნგრელმა, პოლონელმა, უკრაინელმა და რუსმა მეცნიერებმაც.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე დაამტკიცეს კონფერენციის რეზოლუცია და დასახეს უცხოელ მონაწილეებთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.

კონფერენციის მონაწილეებს საზეიმოდ გადაეცათ სერტიფიკატები. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას, მოწვეულ სტუმრებს, უცხოელ კოლეგებს და შემდგომი წარმატებები უსურვა.

მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის ფორმატში შეხვედრა მინისტრთან — ნოდარ ხადურთან

მეექვსე გვერდიდან

მანვე ისაუბრა სამ მთავარ პრობლემაზე, რომელიც განაპირობებს სხვა დანარჩენი პრობლემების არსებობას: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა. ფინანსთა მინისტრის აზრით, ამ პრობლემების გადაწყვეტის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში განვითარების უფრო სწრაფი ტემპები დაიწყოს.

საჯარო ლექციაზე ასევე ისაუბრეს ექსპორტის ზრდის ხელშეწყობაზე, ხელსაყრელ საგადასახადო გარემოზე, სოციალური სისტემის უზრუნველყოფასა და ფინანსურ შუამავლებზე. ითქვა, რომ ქვეყანა უნდა გადავიდეს დაგროვებით პენსიაზე, რადგან სახელმწიფოს არასდროს არ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ პენსია ძალიან მაღალი იყოს.

საქართველოს დღევანდელი მთავრობისთვის არავითარი „..ზაცია“ არ არის მისაღები

ლექციის დასრულების შემდეგ პროფესორმა ნოდარ ხადურმა დარბაზში დასმულ შეკითხვებს უპასუხა. საგულისხმოა, რომ კითხვების ძირითადი ნაწილი საქართველოს დღევანდელობას ეხებოდა. მსმენელებმა უშუალოდ ფინანსთა მინისტრისაგან მოისმინეს პასუხები არაერთ პრობლემატურ საკითხზე.

მაგალითად, ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის კითხვაზე, რატომ არ ახსენა მინისტრმა ლექციაზე ე.წ. „სინგაპურიზაცია“ და რა ტიპის „...ზაციაა“ დღეს აქტუალური, ნოდარ ხადურმა უპასუხა, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობისთვის არავითარი „..ზაცია“ არაა მისაღები და მხოლოდ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებებს, ქმნის ეკონომიკურ პოლიტიკას.

დარბაზიდან დაისვა ასევე კითხვები: რატომ არ შეინიშნება ის სასიკეთო ცვლილებები, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ დაპირება მისცა ხალხს და განაცხადა, რომ მისი მოსვლის პირველ წელს გაგვიჭირდებოდა, მეორე წელი — უკეთესი იქნებოდა, მესამე წელი — კიდევ უკეთესი და მეოთხე წელი — ძალიან კარგი? ითვალისწინებს თუ არა სამთავრობო გუნდი იმას, რომ რეალობა ამ დაპირებისგან შორსაა? რა გავლენას მოახდენს უკრაინის კრიზისი საქართველოზე და გაიზიარებს თუ არა ახალი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ იგივე ბედს, რა ბედიც არაერთ პროექტს ეწია (მაგალითად, იაფი კრედიტის პროგრამა, დასაქმების პროგრამა და ა.შ)?

გარკვეული მოსაზრების გამო, ნოდარ ხადურმა კითხვების მხოლოდ ნაწილს უპასუხა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას 2012 წლის შემდეგ ბიზნესისთვის კრედიტები არ მიუცია, რაც მას განასხვავებს დანარჩენი ყველა პროგრამისგან. „ჩვენ უბრალოდ მათ ვუთხარით, რომ თქვენ უნდა აიღოთ კრედიტი კომერციულ ბანკში და ჩვენ მოგეხმარებით მხოლოდ პროცენტის დაფარვაში. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ დავუფარავთ კრედიტს. დღეისთვის ერთადერთი პროგრამა, რომელსაც ვახორციელებთ შედარებით მასიური სახსრებით, ეს არის სოფლის მეურნეობაში ე.წ. საგაზაფხულო სამუშაოების პროგრამა, როცა უბრალოდ ადამიანებს იმის საშუალება მივეცით, რომ მოეხნათ და დაეთესათ მიწა. ამან გარკვეული წარმატება მოგვცა, რასაც მალე დავინახავთ“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტის პროფესორი, სენატის სპიკერი კახაბერ ლორია დაინტერესდა, რა იგეგმება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის განვითარებისთვის და რამდენად შეიძლება წმინდა პოლიტიკური ფაქტორები გახდეს ამ ყველაფრის ხელის შემწყობი, ან ხელის შემშლელი?

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კითხვაზე უპასუხა, რომ საქართველოს დადებული აქვს ხელშეკრულება თურქეთთან და ძალიან სერიოზულად მუშაობენ იმაზე, რომ თურქეთიდან საქართველოს გავლით პროდუქციის ექსპორტი სახმელეთო გზით განხორციელდეს. „ჩვენ ვმუშაობთ ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც პოტენციურად შეიძლება ამ კორიდორის გამომყენებელი იყოს. ეს არის როგორც სამხრეთით მდებარე ქვეყნები, ისე რუსეთი და რუსეთის მეზობლები, რომლებიც იყენებენ ერთადერთ რეალურ გზას — ეს არის ნატახტარი-ყაზბეგი-ლარსის გზა. ავტომანქანების გეოგრაფია (სატვირთოზე არის საუბარი) ძალიან ფართოა. აქტიურობენ ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი, ირანი. აზერბაიჯანიც კი, ხშირ შემთხვევაში, საქართველოს გავლით დადის და არ ირჩევს იმ გზას, რომელიც კასპიის ზღვას მიუყვება. ჩვენ ვმუშაობთ, რომ ინფრასტრუქტურა მოვაწესრიგოთ. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული პროექტია და ვეძებთ საშუალებას, რათა შეიქმნას უფრო უსაფრთხო და გამტარუნარიანი გზა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ საქართველო არის ასევე ენერგომატარებლების (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი) გამტარი, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ისევე ჩრდილოთ-სამხრეთის (ან პირიქით) მიმართულებით“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

სამეცნიერო სემინარებში დოქტორანტები და მაგისტრანტებიც ჩაერთვებიან

სამეცნიერო სემინარი შეაჯამა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სემინარი მეტად საინტერესოდ წარიმართა და დარბაზმა გამოიყენა შანსი, უშუალოდ დაესვა კითხვები საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის. „კითხვების აბსოლუტური უმრავლესობა პრესკონფერენციას უფრო მაგონებდა, ვიდრე სამეცნიერო სემინარის სტანდარტს. ეს არცერთ შემთხვევაში არ აკნინებს არც ბატონ ნოდარის გამოსვლას, არც თვითონ სემინარის მზაობას, მაგრამ მაინც მინდა, რომ მომავალში საუბრები გაგრძელდეს სამეცნიერო თემებზე“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

სამეცნიერო სემინარის ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ საკითხებზე, რასაც საჯარო ლექციაზე გაესვა ხაზი. განსაკუთრებით გამოკვეთა ლიბერტარიანიზმის თემა და აღნიშნა, რომ ეს მიმართულება საქართველოში არასოდეს არსებობდა, რადგან ლიბერტარიანიზმი დაფუძნებულია კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევაზე, რისგანაც საქართველო შორს იყო. „ის, რომ ჩვენი მთავრობა ფიქრობდა, რომ თავისთან დაახლოებული ბიზნესი ყოფილიყო ხელშეუხებელი და მას შეჰქმნოდა ოაზისური გარემო, სულაც არ ნიშნავს ლიბერტარიანიზმს. ქართული ლიბერტარიანიზმის საფუძველი იყო უწიგნურობა და ესაა ყველაზე მთავარი. თუკი შენ არ იცი ეკონომიკა, ძალიან ადვილია, გახდე იმ მიმდინარეობის მომხრე, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, რადგან შენ არ იცი — რა პრობლემა იქმნება ეკონომიკაში; არ იცი, როგორ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო; შენ ისიც არ იცი, ჩარევას რა შეცდომა მოჰყვება. და თუ არ იცი, რა თქმა უნდა, ადვილია ისეთი მიმდინარეობის მომხრეობა, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში არ უნდა ჩაერიოს. ნამდვილი ლიბერტარიანისტები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ყველანაირი მიმართულებები და თეორიები იციან და ლიბერტარიანელობა მათი შეგნებული არჩევანია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

დასასრულ, მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო სემინარები მომავალშიც გაგრძელდება და მასში მონაწილეობას დოქტორანტები და მაგისტრანტებიც მიიღებენ.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

 კონფერენცია

თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები

თანამედროვე ბიზნესის სიახლეები, ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემები, ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა და მისი როლი ეროვნული მეურნეობის განვითარებაში, გადასახადები და თანამედროვე აუდიტის პრობლემები — ამ საკითხებზე ქართველი და უცხოელი მეცნიერები 3-5 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“ ფარგლებში მუშაობდნენ. კონფერენცია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა და ამავე კათედრის ორგანიზებით გაიმართა.

თამარ დადიანი

ღონისძიებას დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თბილისის მერი, თსუ-ის პროფესორი დავით ნარმანია, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ელენე ხარაბაძე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე, სტუდენტები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები.

თბილისის მერის, თსუ-ის პროფესორის დავით ნარმანიას შეფასებით, კონფერენცია უმნიშვნელოვანესია სამეცნიერო თვალსაზრისით. დღეს აუცილებელია სამეცნიერო საზოგადოების, სტუდენტებისა და დოქტორანტების მონაწილეობა ისეთი საკითხების განხილვაში, რომლებიც ამ კონფერენციაზეა წარმოდგენილი. „თბილისის მერია, თავის მხრივ, თსუ-სთან აქტიურად თანამშრომლობს. გარდა ამისა, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით ჩვენ საინტერესო ღონისძიებებს ვგეგმავთ“, — დასძინა დავით ნარმანიამ.

კონფერენცია სამ თემატურ სექციად დაიყო: ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები — გამოწვევები და პრობლემები; ეკონომიკური ანალიზი და მენეჯერული გადაწყვეტილებები; გადასახადები, ბიზნესის დაბეგვრა და თანამედროვე აუდიტი;

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანი ისეთი მექანიზმების შემუშავებაა, რომლებიც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ბიზნესის განვითარებას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას და ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

„ბუღალტრის პროფესიას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია მეტყველებს, რომ ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია საწარმოს სრულყოფილი მართვა, შეუძლებელია დადებითი ფინანსური აღრიცხვის უზრუნველყოფა. მისი ისტორიის ერთერთ თავისებურებას წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ევოლუცია, თეორიისა და პრაქტიკის მიზანმიმართული სრულყოფა.

უნივერსიტეტის დამაარსებლები თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბუღალტრულ აღრიცხვას, როგორც მეცნიერებას. 1922 წელს ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის პროექტით შექმნილ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი სემესტრის სასწავლო გეგმით, ძირითად საგნად დადგინდა „ბუღალტრული აღრიცხვა“. ამ საგნის წასაკითხად, ფილიპე გოგიჩაიშვილის რეკომენდაციით, მოიწვიეს ახალგაზრდა მეცნიერი ამბროსი ინნკირველი.

უნივერსიტეტის დამაარსებლების მიერ 1933 წელს შეიქმნა და ჩამოყალიბდა ბუღალტერიის აღრიცხვის კათედრა, რომლის გამგედ შეირჩა ზოსიმე ჩახვაძე, 1944 წელს კი ამ კათედრას გამოეყო სტატისტიკის კათედრა და მის გამგედ გია გამყრელიძე დაინიშნა. იქიდან მოყოლებული დღემდე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრას ღირსეული მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ, რომელთა ძალისხმევით კათედრა დღესაც წარმატებულად განაგრძობს საქმიანობას“, — აღნიშნა ელენე ხარაბაძემ. მან ასევე დიდი პატივისცემით გაიხსენა ყველა ის მეცნიერი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის საკითხებზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე მუშაობდა და რომელთა ღვაწლიც შეუფასებელია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის საქმიანობაში.

„მინდა მადლობა გადაგიხადოთ კათედრის სრულ შემადგენლობას იმ ნაყოფიერი, მიზანმიმართული საქმიანობისათვის, რაც ჩვენ, ყველამ ერთად, გავწიეთ კათედრის ფეხზე დასაყენებლად, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. უკანასკნელ წლებში აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის პრესტიჟი ამაღლდა; აღრიცხვისა და აუდიტის მოდულს ირჩევენ ნიჭიერი, წარმატებული ახალგაზრდები. კათედრის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების დამსახურებაა, რომ თანამედროვე ბიზნესში დიდი მოთხოვნაა ჩვენი მოდულის კურსდამთავრებულებზე, როგორც ბაკალავრებზე, ასევე მაგისტრებზე“, — განაცხადა ელენე ხარაბაძემ.

საყურადღებო იყო პლენარულ სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი თაბუაშვილის გამოსვლა, რომელმაც კონფერენციაზე წარმოდგენილი მოსაზრებების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და პრაქტიკაში მათი დანერგვის აუცილებლობაზე ისაუბრა: „ასეთი საერთაშორისო კონფერენციები მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ხდება საზოგადოებისთვის მეცნიერული სიახლეების გაცნობა, პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობა, გამოწვევების მიღება.

ბიზნესის დახმარების კუთხით, ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ახორციელებს ცვლილებებს საგადასახადო კოდექსში... ეს ცვლილებები ემსახურება ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ბიზნესის ხელშეწყობას. თანამედროვე ბიზნესთან ერთად, ვითარდება ბიზნეს-მიდგომებიც... ახალ მიდგომებს ახალი გამოწვევები მოსდევს და მეცნიერებაც მას ფეხდაფეხ მიჰყვება. შესაბამისად, ეს აისახება როგორც ბუღალტრულ, ისე აუდიტის სტანდარტებში, რომელიც პერიოდულად ახლდება.

დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად უნდა შეიქმნას არა მარტო ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო ფუნდამენტური პირობები, არამედ გარემო, რომელიც მის განვითარებას შეუწყობს ხელს. ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდას, იზრუნოს, რომ რეგულაციები იყოს მაქსიმალურად ნათელი და გაზარდოს ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა“, — განაცხადა გიორგი თაბუაშვილმა.

პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, თსუ-ის პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ჭაია და სხვები.

თანამედროვე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივაზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა. „აუცილებელია საქართველოს სინამდვილეში იმ დიდი გამოცდილების დანერგვა, რომელიც მოწინავე ქვეყნებში დაგროვდა, რადგან ჩვენი ეკონომიკა რთული და წინააღმდეგობებით სავსეა... თუმცა იგი ადგას გზას, რასაც ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი ჰქვია. მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა ბიზნესის ტოტალურ კონტროლზე და ზეწოლაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში. ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი წარმოუდგენელია კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპების დაცვის გარეშე. ეკონომიკა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია არ გააჩნია და არ არის ორიენტირებული ადამიანზე, საბოლოო ჯამში, არ ამართლებს.

ასევე მნიშვნელოვანია ბიზნეს-რესურსებზე ხელმისაწვდომობა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმულია, ბიზნესის თავისუფლება და ხელშეუხებლობა რეალურად უნდა განხორციელდეს“, — აღნიშნა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს უცხოელმა მეცნიერებმაც: ოლგა რომანენკომ (კიევი), სებასტიან ტიდემანმა (ბრემენი) და სხვებმა.

კონფლიქტების მოგვარების პოტენციალის გაზრდა და კრიზისული სიტუაციების მედიაცია და ლიდერობა

თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სემინარი

ამიდინარე წლის ოქტომბერში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე (დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე) გაიმართა ერთკვირიანი საერთაშორისო სემინარები „კონფლიქტების მოგვარების პოტენციალის გაზრდა და კრიზისული სიტუაციების მედიაცია და ლიდერობა“. ღონისძიება ორგანიზებული იყო თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასთან არსებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის (დირექტორი — პროფესორი რევაზ გველესიანი) და პოტსდამის უნივერსიტეტის მიერ.

სემინარები, რომლისთვისაც სამუშაო სივრცე გამოყო თსუ-ის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტმა (დირექტორი პროფესორი მაია მარგველაშვილი) ჩატარდა გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) ეგიდით, პროგრამის — „კონფლიქტების პრევენცია სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მოლდოვას რეგიონში“ ფარგლებში.

გერმანელი პროფესორის ანგელა მიკლეის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ შეიკრიბა საერთაშორისო ექსპერტთა და გამოცდილი კონფლიქტოლოგების ინტერდისციპლინარული გუნდი. პროექტის მონაწილეთა რაოდენობამ, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს, სომხეთის, მოლდოვას და იტალიის მოქალაქეები, ოცდაათს მიაღწია. ისინი წარმოადგენდნენ როგორც სხვადასხვა პროფესიებს, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროებს. მათ შორის იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ბიზნესისა და სახელმწიფო სექტორის, მეცნიერებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

მათ მონაწილეობა მიიღეს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის, მედიაციისა და გარიგებათა თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების საკითხებში. ისინი შეისწავლიდნენ სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციებს, აანალიზებდნენ რეალურ კონფლიქტებს საკუთარი ცხოვრებიდან და სამსახურებრივი ყოველდღიურობიდან და ერთობლივად შეიმუშავებდნენ კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს.

მიღებული ცოდნით და უნარებით მომავალში მათ შეეძლებათ იმუშაონ, როგორც საკონტაქტო პირებმა და ინიციატივების მულტიპლიკატორებმა კრიზისების პრევენციის, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

ასეთი სემინარების საშუალებით იქმნება მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების საერთაშორისო ქსელი, რომელთა რეგულარული კომუნიკაციისა და აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალებით მათი კონფლიქტების რეგულირების კომპეტენციები და შესაძლებლობები ფართოვდება.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) პროგრამის — „კონფლიქტების პრევენცია სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მოლდოვას რეგიონში“ ფარგლებში თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ორგანიზებით უკვე ჩატარდა ანალოგიური სემინარი თბილისში 2011 წელს და აღნიშნული პროექტის აქტუალობისა და შედეგიანობის გამო იგი გაიმართება მომავალშიც.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

| გამოხმაურება ოსურ მედიაში |

„ნართებმა ოსი და ქართველი მეცნიერები გააერთიანეს“

Ობერიულ-კავკასიურ ხალხთა მითებს შორის ერთ-ერთი საინტერესო ეპოსი ნართების თქმულებებია, რომელიც, მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულებებიდან გამომდინარე, უკვე არაერთ ენაზეა თარგმნილი. ნართების ეპოსს დიდ შეფასებას აძლევენ ევროპის ქვეყნებში — უკვე თარგმნილია ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ნართების კიდევ ერთი თარგმანი გერმანიაში 2004 წელს გამოიცა. ოსური მითოლოგია დიდი ინტერესით სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს ქართველ მეცნიერთა წრეებში. ქართულ ენაზე ნართების პოეტური ტექსტები პირველად 1947 წელს გამოიცა. შემდეგი იყო პროზაული ტექსტი, რომელიც 1977 წელს თარგმნა ფოლკლორისტმა მერი ცხოვრებოვამ. თარგმანის მომდევნო გამოცემა 1988 წელს დაიბეჭდა. აღნიშნული წიგნები ქართველი და ოსი მეცნიერებისა და ფოლკლორისტების თანამშრომლობის შედეგია. გასულ საუკუნეში დაწყებული ქართველი და ოსი მეცნიერების მუშაობა დღესაც გრძელდება, რაც წელს გამოცემულ ნართების კრებულშიც აისახა. პირველად დაიბეჭდა ოსური მითოლოგიის ორენოვანი (ქართულ-ოსური) კრებული, რომელიც თსუ-ის პროფესორმა ნაირა ბეპიევამ თარგმნა და შეადგინა. პროექტი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის — „COBERM“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. წიგნის საგამომცემლო ჯგუფში ქართველი და ოსი ფოლკლორისტები და მეცნიერები შედიან: ნაფი ჯუსოითი, ზურაბ კიკნაძე, მერი ცხოვრებოვა, რა ზიათ ქუმარიტოვი.

ნატო ოგოლაძე

„ხშირად ხალხების ღირსების, შემოქმედებითი გენიის გამოსახატავად ყველაზე მნიშვნელოვან სახელებს და ნაწარმოებებს ახსენებენ: ქრესტომათიულია ელადის წარმოდგენა ჰომეროსად, იტალიისა — დანტედ, ინგლისისა — შექსპირად, გერმანიისა — გოეთედ, ფინეთისა — „კალევალად“, საქართველოსი — რუსთველად... და ვინ გაგვახსენდება ოსი ხალხის ხსენებისას მის სახედ, თუ არა ნართები... ოსური „ნართები“ — ეს, მართლაც, მსოფლიო ეპიური შემოქმედების მშვენება, მისი შემქმნელი ხალხის მითოსური პორტრეტია, ეს არის მისი სახელი და დიდება არათუ კავკასიის, არამედ საკაცობრიო მასშტაბით“, — წერს „ნართების“ წინასიტყვაობაში პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

ნართების ახალი კრებული, გარდა იმისა, რომ ორ ენაზეა გამოცემული, განსაკუთრებულია მასში შესული ოსური მითოლოგიის ტექსტებითაც, რომლებიც პროფესორმა ნაირა ბეპიევამ ოსურ ენაზე გამოცემული ნართების შვიდტომეულიდან შეარჩია.

„ის, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი, მნიშვნელოვანი ნაწილია იმ თქმულებებისა, რომელიც შევარჩიეთ სხვადასხვა აკადემიური გამოცემებიდან, განსაკუთრებით შვიდტომეულიდან, რომელსაც უდიდესი შრომა და ძალისხმევა შეალიეს ცნობილმა ოსმა მეცნიერებმა, ოსური ფოლკლორის ამაგდარმა მოღვაწეებმა, პროფესორებმა ქალბატონმა თამარ ხამიცაევამ და ბატონმა შამილ ჯიქკაევმა. მათ გამოამზეურეს, უმთავრესად, ხელნაწერებიდან ამოკრეფილი ტექსტები, სკულპუროზულად დამუშავებული კომენტარები დაურთეს და ეს ურთულესი საქმე ღირსეულად შეასრულეს. ჩვენ, ძირითადად, ამ შვიდტომეულით ვისარგებლეთ. ტექსტები შევარჩიეთ და ვთარგმნეთ სხვა გამოცემებიდანაც“, — აღნიშნავს ნაირა ბეპიევა.

ნინო პოპიაშვილი

ნართების ეპოსზე ქართველი და ოსი მეცნიერების ერთობლივ მუშაობას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ოსურ პრესაში. წიგნის გამოცემამდე ქალაქ კიევში გამართული ერთობლივი შეხვედრა რადიო თავისუფლების ცხინვალის ოფისმა გააშუქა სტატიაში — „ოსი ხალხის პორტრეტი“. კრებულის პრეზენტაციას გამოეხმაურა ინტერნეტ-გამოცემა „სამხრეთ ოსეთი“ სტატიით „ნართებმა ოსი და ქართველი მეცნიერები გააერთიანეს“.

„ნართების კრებული ასეთი შემადგენლობით ოსურ ენაზეც არ არსებობდა, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა მისცეს ამ გამოცემას. ზოგადად, ძალიან რთული იყო ამ პროექტზე მუშაობა. ოს კოლეგებთან იყო კომუნიკაციის დეფიციტი, ასევე, გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური ბარიერები, რაც თბილისსა და ცხინვალს შორის არსებობს. თუმცა ნართებმა მართლაც გააერთიანეს ოსი და ქართველი მეცნიერები. ამ წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა ნაფი ჯუსოითმა აღნიშნა, რომ „დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისში ნართების გამოცემას. ეს გვარწმუნებს, რომ აკადემიურ დონეზე ურთიერთობები ისევ ცოცხალია და რომ მას უბრალოდ ახალი სულის შთაბერვა სჭირდება“. მნიშვნელოვანია, რომ ოსურენოვანი გამოცემა „რასინადი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ნართების“ გამოცემას თბილისში და ავრცელებს ინფორმაციას ოსი მეცნიერის ვასო აბაევის შესახებ, რომელმაც განათლება თბილისში მიიღო გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით. „რასინადი“ აღნიშნავს, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება „ნართების“ ახალი გამოცემით. აქვე უნდა ითქვას, რომ ძალიან დადებითი გამოხმაურება მოყვა ქართულ-ოსური ლექსიკონების გამოცემასაც, რომელზე მოთხოვნა დღემდე დიდია და ამიტომ მეორედაც დაიბეჭდა“, — განაცხადა „ნართების“ რედაქტორმა ნინო პოპიაშვილმა.

ნართების ორენოვანი კრებული გაფორმებულია ილუსტრაციებით, რომელიც სპეციალურად ამ გამოცემისთვის ოსმა და ქართველმა მხატვრებმა შექმნეს. პროექტში მონაწილეობდნენ შალვა ბედოევი, დავით პოპიაშვილი, ლევან სილაგაძე, ვადიმ ფუხაევი, მურად ჯიქკაევი, ასლან-გირეი ხოხოვი. ასევე გამოყენებულია ცნობილი ოსი მხატვრის მახარბეგ თუღანოვის ნახატებიც.

ახალი მონოგრაფია საქართველოს მყინვარების შესახებ



ლევან ტიელიძეს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება: მას, როგორც კავკასიის მყინვარების ახალგაზრდა მკვლევარს, საზოგადოება კარგად იცნობს. მისი მონოგრაფიის — „საქართველოს მყინვარები“ პრეზენტაცია 7 ოქტომბერს გაიმართა უნივერსიტეტში. იგი ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია გლაციოლოგიაში, მეცნიერებაში, რომელიც მყინვარებს შეისწავლის და რომელსაც საქართველოში საფუძველი ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის დროს ჩაეყარა. საბჭოთა პერიოდში რომან გობეჯიშვილის დამსახურებით კავკასიონის მყინვარებისა და გეოეკოლოგიის შესწავლას სერიოზული ყურადღება ექცეოდა, თუმცა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვან, თუმცა ძვირად ღირებულ დარგს კრიზისის პერიოდი დაუდგა.

თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ნანა ბოლოთაშვილის თქმით, მყინვარების კვლევა მათი ინსტიტუტისთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო, თუმცა ბოლო წლებში საკითხმა პლანეტის მასშტაბით განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. მყინვარები კლიმატური ცვლილებების ყველაზე თვალსაჩინო ინდიკატორებია და მათ უკანდახევაზე დაკვირვება თვალსაჩინოს ხდის გლობალური დათბობის შედეგებს და პროცესის მონიტორინგის საშუალებას იძლევა.

„საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ გეოგრაფიის ინსტიტუტმა სწორედ იმ პერიოდში მოიპოვა საერთაშორისო გრანტი, როდესაც ლევან ტიელიძე, როგორც მაგისტრატურის სტუდენტი, ჩვენს ინსტიტუტში სამუშაოდ მოვიდა. ამ გრანტის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და გერმანიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ჩვენი ინსტიტუტი მონაწილეობას იღებდა კავკასიონის მყინვარების კვლევაში. სწორედ მაშინ ჩაერთო სტუდენტი ლევან ტიელიძე გლაციოლოგიურ კვლევებში და იქიდან მოყოლებული არც ერთი წელი არ გაუცდენია. თავიდან ექსპედიციებში მონაწილეობდა, როგორც რიგითი წევრი, ბოლოს უკვე თავად ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს“, — ამბობს ნანა ბოლოთაშვილი.

„საქართველოს მყინვარები“ პირველი ქართულენოვანი მონოგრაფია და სახელმძღვანელოა, რომელშიც, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, გამოკვლეულია კლიმატური ცვლილებების შედეგად კავკასიონის მყინვარების რაოდენობისა და ფართობის ცვალებადობა. ნაშრომში წარმოდგენილი მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა და ცხრილები აადვილებს მასალის ათვისებას და თვალსაჩინოდ აღსაქმელს ხდის გლობალური დათბობით გამოწვეულ მყინვართა ინტენსიურ დნობას.

„მონოგრაფია შედგენილია 10 წლიანი კვლევების საფუძველზე, რომელიც, ძირითადად, გეოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა. სამუშაოს გარკვეული ნაწილი კი შესრულებულია აშშ-ში კლიმატის ცვლილების ინსტიტუტში“, – ამბობს ლევან ტიელიძე. მისი თქმით: „საქართველოს მყინვარებზე სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება 1960-იანი წლების შემდეგ არ მომხდარა. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში მყინვარების რაოდენობა 637 მყინვარით განისაზღვრა, თუმცა ცნობილი იყო, რომ 60-იანი წლებისთვის 786 მყინვარი იყო. ე.ი. მყინვარების რაოდენობა 149-ით შემცირდა. მყინვარების საერთო ფართობი დღეს 355 კვ. კილომეტრია, რაც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ დიდი ციფრია“, – აცხადებს ლევან ტიელიძე.

სპეციალისტების აზრით, „საქართველოს მყინვარები“ დიდ დახმარებას გაუწევს როგორც გლაციოლოგიით, ისე გეოგრაფიით, საბუნებისმეტყველო და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებით დაინტერესებულ სტუდენტებსა და მკვლევარებს. მონოგრაფია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით მომზადდა.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავი სტუდენტური კონფერენციით აღინიშნა

შურთხია ბეროშვილი

დიდი ქართველი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლის, გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღინიშნა. გამოიცა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის „აღმოსავლეთმცოდნეობა" სპეციალური ნომერი (მიძღვნილი ამ თარიღისადმი). 21 ოქტომბერს, მეცნიერის დაბადების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. 22 ოქტომბერს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გიორგი წერეთლის იუბილეს პლენარული სხდომა მიეძღვნა, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, აკადემიკოსები: თამაზ გამყრელიძე, ვლადიმერ პაპავა, ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აპოლონ სილაგაძე, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ღონისძიების მონაწილეებმა უნივერსიტეტის ეზოში გიორგი წერეთლის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

სტუდენტთა ახალგაზრდული კონფერენციის ორგანიზატორის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის ნინო ეჯიბაძის ინფორმაციით, წელს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკა საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. ,,რამდენიმე მოხსენება იმდენად მაღალი დონისა იყო, რომ მათ ავტორებს ჟურნალ ,,აღმოსავლეთმცოდნეობის" შემდეგ ნომერში მათი დაბეჭდვა შევთავაზეთ. საერთოდ, დაგეგმილია ჩვენს კრებულში სპეციალური რუბრიკის შემოღება, რომელშიც ჩვენი სტუდენტების (დოქტორანტების, მაგისტრანტების, ბაკალავრების) საუკეთესო შრომები გამოქვეყნდება."

გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ კრებულში მისი მოწაფე, თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი აპოლონ სილაგაძე წერს:

„გიორგი წერეთელმა 69 წელი იცოცხლა. ეს იყო, ერთი მხრივ, მეცნიერულ წარმატებათა და აღმოჩენათა ბედნიერი წლები, მაგრამ, მეორე მხრივ, რთული და ხშირად მძიმე დრო, როგორც საერთოდ ის ეპოქა, როდესაც მას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა.

გიორგი წერეთელს ბევრი იდეა და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ რაც დატოვა, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მისი დამსახურება მეცნიერების (ქართველოლოგიის, სემიტოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, ძველი აღმოსავლეთის ენათა და დამწერლობათა ისტორიის, თეორიული ლინგვისტიკისა და პოეტიკის) წინაშე ფასდაუდებელია. ამ დარგებში მისი მოღვაწეობით იგი მსოფლიო მეცნიერების წინაშეც წარსდგებოდა, როგორც უბადლო ფილოლოგი, ლინგვისტი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, ტექსტოლოგი, ეპიგრაფიკის მკვლევარი... ყოველი მისი ნაშრომი ახალი სიტყვა იყო მეცნიერების მოცემულ სფეროში.

გიორგი წერეთლის ნაშრომები, მათში ფორმურილებული დასკვნები და იდეები განაგრძობენ სიცოცხლეს, ისევე, როგორც განაგრძობს არსებობასა და განვითარებას მის მიერ შექმნილი ქართული ორიენტალისტიკური სკოლა — მიუხედავად მძიმე დარტყმებისა და დანაკარგებისა, რაც მან განიცადა 90-იან წლებში და 2000-იანი წლის დასაწყისში.

გიორგი წერეთლის მიერ დაარსებული აღმოსავლეთმცოდნობის ფაკულტეტი — დღეს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი არის მთავარი არგუმენტი იმისა, რომ დღეს ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა, კერძოდ, საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობა ვითარდება".

გიორგი წერეთელმა 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მიიწვიეს ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის არაბული ენის დოცენტად. 1933 წელს იგი თბილისში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო კადრების მომზადებას სემიტოლოგიის სხვადასხვა სფეროში. 1933-1936 წლებში მეცნიერი ხელმძღვანელობდა ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილებას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. მისი ინიციატივით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სემიტოლოგიის კათედრა (1945 წ) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1960 წ.). იგი კათედრასა და ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. გიორგი წერეთლის სამეცნიერო კვლევის სფერო იყო არაბული ენათმეცნიერება და ფოლკლორი, ეგრაისტიკა და არამეისტიკა, ახლო აღმოსავლეთის ძველი ენები და დამწერლობათა ისტორია, ქართველური ენათმეცნიერება, ქართული და შედარებითი ლექსთწყობის საკითხები, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემები, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხები, რუსთველოლოგია.

„ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონი" ქართულად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ პირველად, ქართულ ენაზე გამოქვეყნდა „ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომლის ავტორები არიან თსუ-ის და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — დავით უკლება (ან განსვენებული), კობა ხარაძე, ეთერ დავითაია, ნინო პავლიაშვილი და ელენე სალუქვაძე. ლექსიკონის სამეცნიერო რედაქტორებია დარგის ცნობილი მეცნიერები — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე (ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნაწილში) და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე (ეკონომიკურ და სოციალ-პოლიტიკურ ნაწილში).

გეოგრაფიული მეცნიერება ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება, მის ლექსიკას შეემატა ბევრი ახალი ტერმინი და ცნება. არსებითად შეიცვალა თვით ტერმინოლოგიაც. ყოველივე ამის გამო, დღემდე გამოცემულ დარგობრივ ლექსიკონებში მოცემული ზოგი ტერმინის განსაზღვრება მოძველებულია და ნაკლებად შეესაბამება გეოგრაფიის და, კერძოდ, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე დონეს და მის განვითარებას. ამიტომ ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ქართულენოვანი ლექსიკონის შედგენა მეტად აქტუალური გახდა და ამიტომაც, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ დავით უკლებას ხელმძღვანელობით შეიკრიბა ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი. სამწუხაროდ, ბატონი დავითი ძალიან მალე გარდაიცვალა და ავტორებს მის გარეშე მოუხდათ ამ ძნელი და საპატიო საქმის გაგრძელება, შემდგომ უკვე კი უკვე პროფესორ კობა ხარაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით. და აი, თითქმის ორი ათეული წლის დაუღალავი შრომის შედეგად, დღეს, ამ ლექსიკონის სახით, ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას შეემატა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებული სამეცნიერო ნაშრომი.



დარგობრივი ლექსიკონებისგან განსხვავებით (რომლებიც ადრე გამოიცა), „ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონი" უნივერსალური ხასიათის ნაშრომია, რომელიც ასახავს თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების მთელი სისტემის სტრუქტურას. ლექსიკონი გამოქვეყნდა ერთტომეულის სახით და მოიცავს 445 გვერდს. მას თან ერთვის საცნობარო სტატისტიკური დამატება (ცხრილები და ტაბულები ფიზიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ობიექტებზე, გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, მსოფლიოს ქვეყნებსა და მოსახლეობაზე და სხვ.).

ლექსიკონში შესულია ტერმინები კომპლექსური ფიზიკური გეოგრაფიის (მ.შ. ზოგადი დედამიწისმცოდნეობის, ლანდშაფტმცოდნეობის), გეომორფოლოგიის, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის, ოკეანოლოგიისა და ხმელეთის ჰიდროლოგიის, გლაციოლოგიის, გეოკრიოლოგიის, ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეოგრაფიის, ბიოგეოგრაფიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგებიდან; ასევე კარტოგრაფიისა და გეოდეზიის, რეკრეაციული გეოგრაფიისა და ტურიზმის და სხვა დარგებიდან. მკითხველს საშუალება ექნება ლექსიკონში მოიძიოს ზოგი ტერმინის განსაზღვრება გეოგრაფიის მომიჯნავე მეცნიერებებიდანაც — გეოლოგიიდან, ეკოლოგიიდან... განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლექსიკონში უხვადაა მოყვანილი მაგალითები და განმარტებები საქართველოს, ამ უნიკალური ბუნებრივი „მუზეუმის" დარი ტერიტორიიდან, რასაც უცხოენოვან ლექსიკონში ჩვენი ახალგაზრდა თაობა ვერ შეხვდება.

ლექსიკონის ძირითადი მიზანია, მოგვცეს ლაკონურად, გამართულად და მეცნიერების თანამედროვე დონის შესატყვისად განსაზღვრება იმ ტერმინებისა, რომლითაც სარგებლობს გეოგრაფიული მეცნიერების ყველა სფერო (საჯარო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო საზოგადოება) და ამასთან, შეძლებისდაგვარად მოაწესრიგოს ზოგადგეოგრაფიული ტერმინოლოგია. ამ მიზნით, ლექსიკონში მითითებულია ის ტერმინებიც, რომლებიც ითვლება სინონიმებად, მოძველებულად, არასწორად, ნაკლებად ხმარებულად, ადგილობრივად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ,,ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიური ლექსიკონი" განკუთვნილია არა მხოლოდ გეოგრაფებისთვის, არამედ მონათესავე დარგის სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის, საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის, ჟურნალისტებისა და, საერთოდ, ტერმინოლოგიით დაინტერესებული ყველა პირისთვის. ამდენად, ლექსიკონი ყველა ქართული ოჯახის სამაგიდო წიგნად იქცევა.

INFO ქრონიკა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან

27 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ცოდნის ამაღლების მიზნით; მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობისთვის.

ფილიპ ბრიდლავი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, აშშ-ის საჰაერო ძალების გენერალი ფილიპ ბრიდლავი ეწვია. გენერალი თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ფილიპ ბრიდლავმა ნატოს პოლიტიკაზე, საერთაშორისო გამოწვევებზე, გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე, ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობაზე ისაუბრა.

ღონისძიებაზე სტუმარმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

გენერალი ფილიპ ბრიდლავი 2013 წელს დაინიშნა ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, აშშ-ის საჰაერო ძალების გენერლად.

„თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ ფორუმი

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ფორუმი „საქართველოს მთავრობის მენეჯმენტის ხარისხი — საერთაშორისო შემაჯამებელი ექსპერტიზა, პრობლემები და გამოწვევები“.

ფორუმზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 20-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციისა და პროექტის ექსპერტული სარეიტინგო შეფასებები საქართველოს მთავრობის საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით.

ფორუმს დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

ფორუმის ორგანიზატორი გახლდათ „თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი“.

მემორანდუმები პარტნიორობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში მოღვაწე ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. თანამშრომლობის მემორანდუმს შემოუერთდნენ დარგის განვითარებით დაინტერესებული არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა, ბრისტოლ-თბილისის ასოციაციის თავმჯდომარემ დერეკ პიკაპიმ და 17 ბიზნეს კომპანიის წარმომადგენელმა.

მემორანდუმის თანახმად, იგეგმება საქართველოში ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების დარგის განვითარების ხელშემდეგ ინდუსტრიაში დასაქმებას. ბიოლოგიური მეცნიერებები ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა და სურსათის ეროვნული სააგენტო ძალიან დაინტერესებულია ასეთი კადრებით. ჩვენთან მუდმივად მიმდინარეობს სტაჟირებები, 12 სტუდენტი უკვე დასაქმებულია სააგენტოში და ეს პროცესი კვლავ გრძელდება“, — აღნიშნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

ბრისტოლ-თბილისის ასოციაციის თავმჯდომარის დერეკ პიკაპის თქმით, „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბრისტოლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი უნივერსიტეტები ერთობლივად იმუშავებენ. მოხარული ვართ, რომ ხელი მოვაწერეთ და ჩართულები ვართ ტემპუსის ამ პროგრამაში“.

შეწყობა, უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და თანამედროვე, ინოვაციური სასწავლო პროგრამების განხორციელება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, მათ შორის კვების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და აგრობიოტექნოლოგიების მიმართულებით.

„ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის კავშირს ინდუსტრიასთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რადგანაც ეს არის ორმხრივი კომუნიკაცია, შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი სტუდენტების დახელოვნება მოხდეს ინდუსტრიულ საწარმოებში. რაც მთავარია, მემორანდუმში ჩართულია სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რაც ამ პროექტის სახელმწიფო მხარდაჭერას გულისხმობს და მის წარმატებულ განხორციელებას შეუწყობს ხელს. ხელმომწერი იყო 20 ორგანიზაცია, ეს ნიშნავს საკმაოდ ფართო თანამშრომლობას ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. იხსნება ახალი ფურცელი, ახალი შესაძლებლობები უნივერსიტეტისა და ბიზნეს სექტორის დაახლოებისთვის“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„მემორანდუმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო სექტორთან, ასევე ბიზნეს ინდუსტრიასთან, კერძოდ, იგი ეხება ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას, მათ სწავლებას და

მემორანდუმის ფარგლებში ხელის მომწერი მხარეები თანხმდებიან კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე ახალი სასწავლო კურსების (მოდულების) პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, განხორციელებასა და პოპულარიზაციას; დასაქმების ბაზარზე სტუდენტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას მათი პროფესიული კომპეტენციებისა და ცოდნის გაღრმავებას; სტუდენტების საწარმოო/პროფესიული პრაქტიკის გავლას, სადიპლომო ნაშრომის შესრულებას ინდუსტრიის ბაზაზე; სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ ჩართვას სხვადასხვა სამეცნიერო/გამოყენებითი/ განვითარების პროექტებში; წარმატებული სტუდენტების მხარდაჭერას წამახალისებელი ღონისძიებების ორგანიზების გზით; ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

აღნიშნულ თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2007-2013 წლებში ევროკავშირის „ტემპუსის“ პროგრამით განხორციელებული პროექტების ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის (ქ. ბრისტოლი, პროექტის კოორდინატორი), ალიკანტეს უნივერსიტეტისა (პროექტის კოორდინატორი) და საქართველოსა და სომხეთის სხვა პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თურქულ-ქართული ხალხური ცეკვების კონცერტი გაიმართა

24 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გირესუნის უნივერსიტეტისა (თურქეთი) და თსუ-ს ხალხური ცეკვის ანსამბლების მონაწილეობით თურქულ-ქართული ხალხური ცეკვების კონცერტი გაიმართა.

თურქეთიდან მოწვეულმა ორმოცკაციანმა ჯგუფმა შესრულა გირესუნი-რიზე-ართვინის რეგიონის ხალხური ცეკვები. ღონისძიება იუნუს ემრეს სახელობის თბილისის თურქული კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

მილოცვა

ლეილა თუშიშვილი 90 წლისაა

ჯღეს, ქართველ ირანისტთა შორის, არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ქალბატონ ლეილას ხელში არ გაევლოს და ამ დიდებული ადამიანის მადლი არ გაჰყოლოდეს ცხოვრებაში. უნივერსიტეტში შემოსვლის პირველი დღიდანვე, სტუდენტის სპარსული ენის ზღაპრულ სამყაროსკენ გზის გაგნება, ქალბატონ ლეილას უწევდა, პირველი ორი კურსი მასთან უნდა გაევლო. ეს ბედნიერება, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტს, ბუნებრივია, მეც მხვდა წილად.

არ მახსოვს ლექცია, ქალბატონ ლეილას არ გაეხსენებინა თავისი სპარსული ენის მასწავლებლები, რომლებსაც ესა თუ ის სპარსული სიტყვა თუ რაიმე საკითხი მოაგონებდა და მოაყოლებდა საინტერესო ისტორიას.

ასე გადმოვიდა მადლი ჩვენზე ისეთი ცნობილი ირანისტებისა, როგორებიც იყვნენ იუსტინე აბულაძე, ვლადიმერ ფუთურიძე და მაკარ ხუბუა, რომლებსაც უნივერსიტეტში ვერ მოვესწარით. დღეს კი იმდენად შთამბეჭდავად არის დარჩენილი მათი სახელები ჩვენს ხსოვნაში, რომ, თითქოს, ქალბატონ ლეილასთან ერთად, მათ ხელში გაევლოს ჩვენი ცხოვრების ულამაზეს წლებს.

განა მარტო სპეციალობის მიხედვით გვაყვარებდა ქალბატონი ლეილა ადამიანებს, არამედ გვზრდიდა, ზოგადად, ადამიანებისადმი სიყვარულით.

არ მახსოვს, ქალბატონ ლეილას შენიშვნა მოეცეს ჩვენთვის, ალბათ, ჩვენც ნაკლებად ვაძლევდით მას ამის საბაბს, მაგრამ თუ მოხდებოდა, რომ ვინმეს მხრივ ყველაფერი არ იყო რიგზე, მაშინ ქალბატონი ლეილა დამნაშავესავით უხერხულად იგრძნობდა თავს, სიწითლეც კი გადაუვლიდა სახეზე...

ქალბატონი ლეილა, ძირითადად, სპარსული ენის გრამატიკის, ირანული დიალექტებისა და სპარსული ლექსიკოგრაფიის პრობლემებით არის დაინტერესებული. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი ეძღვნება არაბულ ნასესხობებს „შაჰ-ნამეში“.

ქალბატონმა ლეილამ კარგა ხნის წინ გამოაქვეყნა მაღალპროფესიულ დონეზე შედგენილი „სპარსული ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1970 წ.), რასაც მოგვიანებით მოჰყვა — „კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა“ (2000 წ.), (შინაურულად — „თუშიშვილის ქრესტომათია“ და „თუშიშვილის გრამატიკა“).

ორივე წიგნი დღემდე შეუცვლელ სახელმძღვანელოებად არის მიჩნეული ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტთათვის.

ქალბატონი ლეილა საოცრად ყურადღებიანი ადამიანია. კარგა ხნის წინ წამოვიწყე შემეგროვებინა მოგონებანი ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებზე და, კრებულის სახით, გამომექვეყნებინა. ამასთან დაკავშირებით, სხვებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქალბატონ ლეილასაც მივმართე. იგი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც რამდენიმე დღეშივე მომიტანა არაჩვეულებრივი მასალა. მასალის შეგროვება გრძელდება და მკითხველიც, ალბათ, ოდესმე მიიღებს მოგონებათა საინტერესო კრებულს ჩვენს ისეთ სახელოვან ადამიანებზე, როგორებიც არიან: სერგი ჯიქია, გიორგი წერეთელი, ვლადიმერ ფუთურიძე, ვალერიან გაბაშვილი, იუსტინე აბულაძე, მაკარ ხუბუა, დავით კობიძე, კონსტანტინე წერეთელი, ლეონ მელიქსედბეკი, ივანე შილაკაძე, კონსტანტინე ფაღავა, დავით კაციტაძე, გიორგი ფუთურიძე, ალექსანდრე გვახარია, ვახუშტი კოტეტიშვილი... სადაც თავის სითბოს შეიტანს ქალბატონი ლეილას საოცრად თბილი მოგონებანი თავის საყვარელ მასწავლებლებზე.

ვუსურვებთ ქალბატონ ლეილას, კეთილშობილებითა და სათნოებით სავსე ადამიანს, მზეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

ნომადი ბართაია

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 1 ნოემბერს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას **„უნივერსიტეტი“**

ცნობისთვის

TV

თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს

მოგვწერეთ:
facebook.com
Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიატები

ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით დაწესდა, რომელიც, წახალისების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების სამ საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა. სტიპენდიის ოდენობა წელიწადში 3 000 ლარს შეადგენს. წელს ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიატები უკვე გამოვლინდნენ. მათ შორის არიან: მარიამ მათიაშვილი — თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი; მაგული ღამბაშიძე — თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი და ლევან გეგურიშვილი — თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

მარიამ მათიაშვილი

ლევან ბებურიშვილი

მაგული ღამბაშიძე

მოტივირებული ვარ — უფრო ღრმად გავეცნო პირველი პრეზიდენტის დატოვებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას...

მარიამ მათიაშვილი

— უნივერსიტეტის შერჩევისას ბევრი არც მიფიქრია, ბავშვობიდან მქონდა სურვილი აქ მესწავლა. თავიდან ჟურნალისტობა მინდოდა, მაგრამ შემდეგ ფილოლოგობა ავირჩიე. სტუდენტი რომ გავხდი, ძალიან გამიხარდა: რაღაც საოცრებად მეჩვენებოდა პირველი კორპუსი, პირველი უნივერსიტეტი... მაგრამ, ბოლოს, მე-5და მე-8 კორპუსში აღმოვჩნდი. 200 სტუდენტი ერთდროულად ვაწყდებოდით „ქსეროქსის" აპარატებს ერთი სახელმძღვანელოს გასამრავლებლად. იმ პერიოდში ბაზებიც მოუწესრიგებელი იყო და, პირველი სემესტრი, ასე ვთქვათ, „ცუდად" დაიწყო, მაგრამ სამაგიეროდ მეორედან გაგრძელდა შესანიშნავად – პირველი კორპუსი, საინტერესო საგნები, მეგობრები... ძალიან მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი. ძირითადი ცხოვრებისეული პრინციპი? – გულწრფელობა! ვცდილობ მართალი ვიყო, ყოველთვის გამომდის თუ არა, არ ვიცი. მჯერა, რომ შრომა ყოველთვის ფასდება. თუ რაღაცას ვერ მივაღწიე, ესე იგი, არ დამიმსახურებია, საკმარისი ენერგია არ ჩამიდვია... მინდა, წარმატებული ვიყო და მქონდეს ჩემი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. ვფიქრობ, თუ წარმატებული სპეციალისტები ვიქნებით, ინტელექტუალურ სიმდიდრეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას მოვახმართ, ქვეყნის ინტერესს საკუთარზე მაღლა დავაყენებთ და სიამოვნებით შევასრულებთ მოვალეობებს, რაც უკვე ნიშნავს, რომ ღირსეული მოქალაქეები ვართ...

ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია ჩემთვის, პირველ რიგში, დიდი სტიმული და მოტივაციაა. ასეთი წახალისება ყოველთვის მეტ ძალას მაძლევს. სიმართლე გითხრათ, ამ სტიპენდიის აღების შემდეგ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მოტივირებული ვარ — უფრო ღრმად გავეცნო პირველი პრეზიდენტის დატოვებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას... თუმცა, მეტ-ნაკლებად, ვიცნობ მის თარგმანებს, სამეცნიერო ნაშრომებს რუსთველოლოგიაში.

მიხარია, რომ ჩემ გარშემო განათლებული ადამიანები არიან, მთელი სიამოვნებაა მათთან ურთიერთობა. უამრავი რამ ვისწავლე ჩემი თანატოლებისგანაც, მგონია, რომ უფრო და უფრო ნაკითხი თაობა წამოვა... ჩემს თაობაში არ მომწონს ის, რომ საკუთარი ინდივიდუალობის წარმოჩენას მხოლოდ ჩაცმის სტილით ცდილობენ, არადა, ყველა ერთმანეთის მსგავსი გამოდის საბოლოოდ და, რაც მთავარია, ძალიან გვიყვარს ერთმანეთის და წარმატებული ადამიანების კრიტიკა.

საბოლოოდ, არსად წასვლას არ ვაპირებ, საქართველოში დავრჩები და იმედი მაქვს, კარგი ენათმეცნიერი ვიქნები.

მსურს, მეც მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში

ლევან გეგურიშვილი:

— ქალაქ თელავში დავიბადე, სკოლაც იქ დავამთავრე. იქვე ვეზიარე განათლების, ქართული კულტურის საფუძვლებს და პიროვნებად ჩამოვყალიბდი. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩემს სკოლაში სრულიად განსაკუთრებული, პატრიოტული ატმოსფერო სუფევდა. მასწავლებლები ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბებისთვის ზრუნავდნენ. საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოსახული დიდ ქართველთა შეგონებანი, რასაც, ჩვენდა უნებურად, გამუდმებით ვკითხულობდით. სკოლის შესასვლელ კარს კი ვაჟას სიტყვები ამშვენებდა: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ!" ცხადია, ასეთი გარემო დიდ გავლენას ახდენდა ჩვენს სულიერ ფორმირებაზე, სიყრმიდანვე გვასწავლიდა სამშობლოს მსახურებას, ზნეობრივი ცხოვრების აუცილებლობას... მთავარი სიმდიდრე, რაც სკოლიდან წამოვიღე, სწორედ ეს განწყობაა. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების განათლების რეფორმამ მოსპო ეს ეროვნულ-პატრიოტული მუხტი სკოლებში და ამ მხრივ დღესაც არ არის იქ სახარბიელო მდგომარეობა.

როცა დადგა დრო, ამერჩია უმაღლესი სასწავლებელი, დიდხანს არ მიფიქრია. არჩევანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევაჩერე, რომელიც, თავისი აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი კომპონენტების მიხედვით, უდავოდ იყო და არის ნომერ პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავიცანი ადამიანები, რომელთაც მთლიანად განსაზღვრეს ჩემი მოღვაწეობის გზა. პირველ კურსზე პროფესორი ლადო მინაშვილი გავიცანი, მასთან შეხვედრამ საბოლოოდ გადამაწყვეტინა სპეციალობად ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია ამერჩია.

ჩემი ნება რომ იყოს, აუცილებლად აღვადგენდი ილიას, ვაჟას, აკაკის და სხვა გამოჩენილ მწერალთა სამეცნიერო-კვლევით კაბინეტებს, რომლებიც პატარა კულტურული და სამეცნიერო კერები იყო უნივერსიტეტში. ბოლო პერიოდში ხმები ვრცელდებოდა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აპირებდა დიდი ქართველი ლიტერატურათმცოდნის, გრიგოლ კიკნაძის მიერ დაარსებული ვაჟა-ფშაველას კაბინეტის აღდგენას. თუმცა, თუ ამ კაბინეტში სამეცნიერო მუშაობა არ იწარმოებს და მას მხოლოდ მუზეუმის დანიშნულება ექნება, ვფიქრობ, აღდგენას არავითარი აზრი არ აქვს.

ჩვენს ეპოქაში ძალიან ბევრს საუბრობენ ყბადაღებულ „უფლებებზე" და ძალიან ცოტას — მოვალეობებზე. არადა, სწორედ ადამიანური მოვალეობების ღირსეულად აღსრულება ანიჭებს სიცოცხლეს მაღალ საზრისსა და ღირებულებას.

იყო ქვეყნის პატრიოტი, არ ნიშნავს რომ აუცილებელია — ომში სისხლი დაღვარო. ყველა ადამიანი, ვინც პასუხისმგებლობით, მაღალ პროფესიულ დონეზე, სათანადოდ ასრულებს საკუთარ მოვალეობას იმ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობს, არის პატრიოტი.

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, ვიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიატი.

ვინც საფუძვლიანად არის დაინტერესებული ქართველოლოგიური მეცნიერებებით, იგი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო მემკვიდრეობას. ჩემს მთავარ ნაშრომში „მწერლობის „მოთვინიერება" გრძელდება" სწორედ ზვიად გამსახურდიას მიერ აღორძინებული ეროვნული იდეოლოგიის ჭრილში, ეთიკური პოზიციიდან ვცადე შემეფასებინა და გამეანალიზებინა თანამედროვე ქართული ლიტერატურა კულტურის კრიზისის კონტექსტში. მსურს, მეც მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში. ეს არის უდიდესი სტიმული, რათა მომავალში მთელი ენერგიით ვიღვაწო ქართული მეცნიერებისა და კულტურის ასპარეზზე. არ მინდა, პათეტიკურად გამომივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: მტკივა ჩემი ქვეყნის მარცხი და მიხარია მისი წარმატება. მინდა, ჩემმა თანატოლებმა უფრო მეტი იფიქრონ ეროვნულ და ზნეობრივ პრობლემებზე, ნაკლებად იქონიონ მერკანტილური დამოკიდებულება განათლებისადმი და გააცნობიერონ სულიერი ზრდის, კულტურული თვითშეგნების ამაღლების აუცილებლობა.

ჩემი სურვილი კი სამომავლოდ უნივერსიტეტში მოღვაწეობას უკავშირდება. უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების ნაწილია, მეცნიერული კვლევა-ძიება კი ჩემი მოწოდებაა.

უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე სახლად იქცა

მაგული ღამბაშიძე:

— ქალაქ თბილისში დავიბადე, 173-ე საჯარო სკოლა მედლით დავამთავრე და ამავე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ბაკალავრიატი წითელი დიპლომით დავამთავრე და როგორც მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტს, სერტიფიკატიც გადმომეცა. 2013 წელს ქართველური ენათმეცნიერების (ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა) სამაგისტრო პროგრამაზე ჩავაბარე და 100% სახელმწიფო დაფინანსებაც მოვიპოვე.

ასაკის მატებასთან ერთად, გამოიკვეთა ჩემი სიყვარული და ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ. დღეს ქართველური ენათმეცნიერება ის პროფესიაა, რომლის გარეშეც ჩემი მომავალი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოში, სადაც სწავლა მინდოდა, მინდა და მენდომება მომავალშიც — დოქტორანტურის საფეხურზეც.

პირველ კურსზე რომ ვიყავი, უნივერსიტეტი ჩემს აღქმაში მხოლოდ უზარმაზარი შენობა იყო, სადაც, მეგონა, რომ დავიკარგებოდი, მაგრამ ცოტა ხანში ეს უზარმაზარი შენობა ჩემთვის მეორე სახლად იქცა. ჩემი სურვილია, უნივერსიტეტში ყველა სასწავლო მიმართულებას საკუთარი პერიოდული სტუდენტური გამოცემა ჰქონდეს, სადაც სტუდენტები სტატიების გამოქვეყნებას შეძლებენ.

ჩემი მიზანია, ვიყო წარმატებული და ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ქართველურ ენათმეცნიერებაში. ჩემი პრინციპების უმრავლესობაც სწორედ ამ მიზანს უკავშირდება. მიზანდასახული ვარ, შრომისმოყვარე და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ... ჩემი აზრით, ადამიანის მთავარი ფასეულობა კაცთმოყვარეობაა. ვფიქრობ, ადამიანის ცხოვრება ფუჭია, თუ ის რაღაცით მაინც არ გამოადგება თავის ქვეყანას. მჯერა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია შეიტანოს სულ პატარა წვლილი ქვეყნის განვითარებაში. ყველაზე მეტად შრომის დაუფასებლობა და უყურადღებობა მწყინს ადამიანების მხრიდან... მიხარია, როცა ვაღწევ წარმატებებს და ვგრძნობ სითბოს გარშემომყოფებისგან. მომწონს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ძალიან მოტივირებულია და კარგად აცნობიერებს საკუთარ მიზნებსა და სურვილებს. მინდა, ჩემმა თანატოლებმა უფრო მეტად შეიყვარონ მხატვრული ლიტერატურა.

ზვიად გამსახურდიას სტიპენდიატობა ჩემთვის ორმაგი პატივია, რადგან გავხდი, ერთი მხრივ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირისა და, მეორე მხრივ, პატივსაცემი მეცნიერ-ფილოლოგის ერთ-ერთი პირველი სტიპენდიატი. რადგანაც ჩემი მიზნები ყოველთვის უნივერსიტეტს უკავშირდებოდა, მსურს ჩემი პროფესიული მოღვაწეობა აქვე გაგრძელდეს.

ვოცნებობ, ვიყო წარმატებული მეცნიერი და მქონდეს ბედნიერი და თბილი ოჯახი.

მოამზადა
თამარ დადიანმა

ანონსი

საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმების საცავებში"

31 ოქტომბრიდან თბილისში იმართება საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმების საცავებში". კონფერენციის ორგანიზატორები არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზურაბ წერეთლის ფონდი.

საერთაშორისო კონფერენცია იმუშავებს როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. დაგეგმილია მონაწილეთა შეხვედრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან.

1 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენციის გახსნას დაესწრებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა და თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ მეცნიერები გერმანიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები დაათვალიერებენ საქართველოს ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს თბილისსა და მცხეთაში, ეწვევიან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს, სვეტიცხოვლის ტაძარს, კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეს და ატენის მონასტერს.

კონფერენცია მუშაობას 3 ნოემბერს დაასრულებს.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62